

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭაბუბით ბუბის გაცანა ყულა უკადრისდაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 2 მაისი, 2014 წელი.

№86 (7467)

რუსულში

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

ექლიანი გზა „სივილიზებული სამყაროსკენ“

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა მზავა დეპუტატის უონა მიმდინარეობს

ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი

ფარმაცუტის პატრიარქი

ქართული ღვინის ექსპორტი – საფრთხეები და სარბიბეული

ახალი ნაცონალური პროკაბანდა

● ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩვენ ერთ დღეში გავხდით „რუსთავი-2“-ის მეტამორფოზის მოწმე, თუ დია, აგრესიული, პროპაგანდისტული ტელევიზიიდან არსი უცვებ როგორ გარდაიქმნა შეფარული, პარტიზანული და საბოტაჟური ბრძოლის ინსტრუმენტად. „რუსთავი-2“ მაქსიმალურად ცდილობს წარმატებული კომერციული პროექტების შექმნას, რათა მოიზიდოს აუდიტორია და შემდეგ სიცრუით და სიყალბით გააფლენილი ინფორმაცია შეასალოს.

● ნაციონალურ მოძრაობას ვერ მოუწვლენია ის მარცხი, რაც ბიძინა ივანიშვილთან ერთად აგემა ქართველმა ხალხმა და მათი ავტორიტარული მმართველობა უსისხლოდ დაასრულა. დღეს ისინი სარგებლობენ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრების პრივილეგიით და აგრძელებენ თავის ამორალურ გამოსვლებს.

წიგნის კარიკატურა

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, საქართველოში მშრომელთა უფლებები საკმარისად დაცული არ არის. აქციაზე იმყოფებოდნენ ასევე რეგიონებიდან ჩამოსული სხვადასხვა საწარმოს მუშები. აქციას შეუერთდნენ სტუდენტური პროფკავშირებისა და სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თავდაპირველად ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან შეიკრიბნენ, რის შემდეგაც რუსთაველის გამზირის გავლით პარლამენტის მიმართულებით მსვლელობა მოაწყვეს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა

საპირველგაისო აქცია თბილისში

1 მაისთან დაკავშირებით პარლამენტის შენობის წინ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებამ აქცია გამართა. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ 1 მაისის უქმე დღედ გამოცხადებას და მშრომელთა უფლებების დაცვას.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგენჯოს მიმართა, რომ პირველი მაისი, შრომის საერთაშორისო დღე, საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდეს. ამის შესახებ შრომის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ აქციაზე პროფკავშირების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა განაცხადა. საკუთარი რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერა შეასრულა ცნობილმა მომღერალმა რობი კუხიაშიძემ, რომელმაც დასაქმებულების მიმართ სოლიდარობა ამ ფორმით გამოხატა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

ინფორმაცია

საქართველო წელს ეკონომიკის სულ მსიერ 5-პროცენტთან ზრდას მიაღწევს

ბასულ წელთან შედარებით, ქვეყნის ეკონომიკა დაახლოებით 8 პროცენტით არის გაზრდილი, — ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.



მისივე განმარტებით, პირველი კვარტლის დამამიყვანებელი პროგნოზი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ წელს საქართველო სულ მცირე 5-პროცენტთან ზრდას მიაღწევს.

„პირველი კვარტლის მონაცემები დამამიყვანებელია და ადასტურებს, როგორც საქართველოს მთავრობის, ისე მსოფლიო ბანკის პროგნოზების რეალობას. რაც შეეხება წყაროებს, გასახარი ის არის, რომ არის ექსპორტის ზრდა და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, კერძო სექტორის გააქტიურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში ჩვენ გვგმა არ არის შეცვლილი. ისევე ვამბობთ, რომ იქნება მინიმუმ 5-პროცენტით ან ეკონომიკური ზრდა, თუმცა პირველი კვარტალი უფრო ოპტიმისტური იმედების საშუალებასაც გვაძლევს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ვინ შეიყვანა შეხლოვაში პრემიერ-მინისტრი?

ბაზიმი „რეზონანსის“ მთავარ რედაქტორ ლაშა ტულუშა ანტიტერორისტული, ვინ შეიყვანა შეხლოვაში პრემიერ-მინისტრი და ვინ უთხრა, რომ ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტის მიზანმიმართულად, „ნაციონალური მოძრაობა“ მონაწილეობდა. კანონპროექტების პაკეტის ავტორები — ლაშა ტულუშა, ზვიად ქორიძე, ლიკა საჯაია და შალვა შაგულაძე არიან, სილო ინიციატორი — პარლამენტის იურიდიული საკითხთა კომიტეტი. შესაბამისად, ლაშა ტულუშისთვის გაუგებარია, პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის შესახებ „არასამთავრობოებისა და „ნაციონალური მოძრაობის“, წარმომადგენლების მიერ მათინ წარმოდგენილი ვარიანტი კატასტროფის ტოლფასი იყო, საფრთხეს შეუქმნიდა მთლიანად სამართალდამცველი სისტემის ფუნქციონირებას.

ტურ მუშაობას, და ამიტომ ხელისუფლებამ აღნიშნული კანონპროექტის დამუშავება დაიწყო. ამასთან, ტულუშა „არასეროზულს“ უწოდებს ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებას იმის თაობაზე, რომ კამპანია „ეს შენ გეხება — ისევე გვისმენენ“ სახელმწიფო ინტერესების საზიანოა.

ამასთან, ტულუშა ინფორმაცია არ აქვს, რას გულისხმობდა პრემიერ-მინისტრი, როდესაც განაცხადა, რომ მისი დავალებით, უსაფრთხოების საკითხებში პრემიერის მრჩეველმა მინდია ჯანელიძემ კანონპროექტის დამუშავება დაიწყო, რაც უკვე დასრულებულია და არის თუ არა საუბარი მთავრობის მიერ ალტერნატიული კანონპროექტის მომზადებაზე.

კახა კუკავა პარაზისებში ხეობის განხილვის შედეგად მოითხოვს

„არასამთავრობო ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კუკავა მოითხოვს, შეჩერდეს ვარაზისხევში ხეობის განხილვა და გაუქმდეს მერიის ნებართვა ამ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

როგორც „არასამთავრობო ოპოზიციის“ იტყობინებინ, ვარაზისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს განხილვის ზონის განხილვა და მზადდება მრავალსართულიანი ნაგებობების მშენებლობისთვის. ვითარების გასარკვევად ადგილზე იმყოფებოდა „არასამთავრობო ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კუკავა.

მისი თქმით, ბოლო პერიოდში უკვე ტენდენციად იქცა დედაქალაქის მწვანე ზონის განადგურება. „არასამთავრობო ოპოზიციის“ მოითხოვს, შეჩერდეს ვარაზისხევის განხილვა და გაუქმდეს მერიის ნებართვა ამ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით.

ქუთაისში სააკაშვილის

შეპარდნაჰისა და ივანიშვილის ფოტოები დაწვეს

რუმორც აქციის მონაწილეები აღნიშნავენ, სწორედ ამ ადამიანებს შემოქმედით დესტაბილიზაცია ქვეყანაში და ცდილობდნენ ქვეყნისთვის დამღუპველი კანონების მიღებას.

„გველა ადამიანს, ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს მიიღებს, ჯოჯოხეთის ცეცხლი სანატრელი გაუხდება. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, მიიღონ კანონი, რომელიც ქართველობას ვინააღმდეგება, — აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

ინტერპრესი

ხარისხი — წარმოების გარანტი

ქართული ღვინის ექსპორტი — საერთოეკები და სარბიეკები

2014 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინის ექსპორტის 70 პროცენტი რუსეთის ბაზარზე გავიდა. რამდენად მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია რუსეთი საქართველოსთვის? სომ არ გახდება საქართველო დამოკიდებული მხოლოდ ერთ სავაჭრო არასტაბილურ ბაზარზე?

2013 წელს ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე ხმაურით დაბრუნდა, თუმცა, 2013 წელი ღვინისთვის წარმატებული აღმოჩნდა არამხოლოდ ამ ბაზარზე: 2012 წელთან შედარებით, გასულ წელს ღვინის ექსპორტი საქართველოდან გაიზარდა 50 პროცენტით. ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში, მათ შორის, 150 პროცენტით — რუსეთში, თუმცა, 254 პროცენტით გაიზარდა ღვინის ექსპორტი, მაგალითად, ნიდერლანდში. მცირედი კლება აღინიშნა აზერბაიჯანში, კანადასა და ლატვიაში. ამ წელს უმსხვილესი პარტნიორი

ბით დაიკავია. შესაბამისად, ამჯერად ექსპორტის 70 პროცენტი რუსეთის ბაზარზე მოდის. ბელორუსის ბაზრის დაბრუნება, რაც უკვე 2014 წლის მაისიდან იგეგმება, ამ ბალანსაც ნაწილობრივ შეცვლის და, სავარაუდოდ, რომ ღვინის ექსპორტის მასშტაბზეც დადებითად აისახება.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა, ახალი ბაზრის გახსნის გარდა, განპირობებული იყო ქვეყანაში ამ დარგში წარმოების ზრდითაც — 2013 წელს საქართველოში 55 პროცენტით გაიზარდა ყურძნის წარმოება და 22,5 ათასი ტონა შეადგინა.

ახალი სანარმოო შესაძლებლობების გაჩენა მნიშვნელოვანია იმ ფონზეც, რომ საქართველოს, რუსეთის ბაზრის გარდა, ასათვისებელი აქვს იმავე ბელორუსის საექსპორტო კვოტების (მით უმეტეს, რომ 2015 წელს ამ კვოტების საერთოდ გაუქმება იგეგმება); საქართველოს არც ევროკავშირის ბაზარს აქვს ათვისებული — 2013 წლის მდგომარეობით, ღვინის ექსპორტი მთლიანად სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის მხოლოდ 6 პროცენტით იყო. ამის მიზეზია ევროსტანდარტების და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე. თუ გავითვალისწინებთ იმ პერსპექტივებს, რასაც საქართველოს ღვინის და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოუტანს, ქართულ ღვინოს ევროკავშირის ბაზარზე ახალი პერსპექტივები ესწენება.



ქვეყნები იყვნენ რუსეთი და უკრაინა (შესაბამისად, 44% და 23%). ნამყვან ათუღლი ევროკავშირის ქვეყნებშიც: პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები.

ამ დროისთვის ღვინის ექსპორტი მთლიან ქართული ექსპორტის, სულ, 4 პროცენტს შეადგენდა, რუსეთში ექსპორტირებული ღვინის მოცულობა კი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში — სულ, 2 პროცენტს. შესაბამისად, ღვინის ექსპორტის ზრდა ქვეყნისთვის, ცხადია, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა, იგი გარდამტეხ გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე, როგორც ციფრებიდანაც ჩანს, ვერ ახდენდა.

მაგრამ ზრდა გრძელდება და 2014 წლის პირველ კვარტალში ღვინის ექსპორტის უკვე მთლიანი ექსპორტის 7 პროცენტი შეადგინა. წელს საქართველოდან მსოფლიოს 19 ქვეყანაში 15,4 მილიონი ბოთლი გავიდა გასაყიდად, რაც 24,3%-ით მეტია, წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. და ეს მაშინ, როცა ქართული ღვინის რიგით მეოთხე ბაზარი, ბელორუსი, 2014 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინისთვის დროულად შეაძლებინა.

ნილო ევგენიკი რადიო „თავისუფლება“

სულიერება

ჩვენი რწმენის არსი

„თუ ადამიანი მინაზე თესავს, მოსავალს ცაში ვერ მოიმიცის... მინაზე დათესილი, მინაზე მომიცილი, მინაზე რჩება და მინავე იქცევა. ღმერთმა მხოლოდ ამისათვის არ მოავლინა ადამიანი. ჩვენი ვაღლია ზეცაში თესვა ვისნავლოთ და ამით გამოვავლინოთ ჩვენი ერთგულება შემოქმედისადმი.“

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? რწმენაზე მალა ეგოისტურ ვნებებს ვაყენებთ, იმის მაგიერ, რომ გავიზროთ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული სულიერი და მატერიალური სიღატაკე, ნებვირად დედის (ეკლესიის) კალთაში გა-



ეკლესია დედაა ჩვენი, მონადებულია, ფეხზე მყარად დგომა გვასწავლოს და დაგვეხმაროს ამ სამყაროს შეცნობაში, გვასწავლოს ქვეყნის აზროვნება, განსჯა, დასკვნის გამოტანა. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობისათვის გაურკვეველია ის პასუხისმგებლობა, რომელიც მოაზროვნე ადამიანს ეკისრება ჩვენს გარემო გარემოებებში სულიერი და მატერიალური დაკნინების გამო.

ჩვენ ვხედავთ, რომ დედაეკლესიას დაცვა სჭირდება. ხიფათის შემთხვევაში დედის დაცვა გაუჭირდება მის კალთაში მყოფ ჩვილს, მისი დაცვა შეუძლია მხოლოდ ფეხზე მყარად მდგომ, ცოდნით და სულიერებით შეიარაღებული პირმშოს.

რინდებულნი ხმამაღლა გავიძახით: ვილოცოთ და ღმერთი გადაგვარჩენს! მაგრამ კიდევ ერთხელ, გვახსოვდეს პავლე მოციქული: „რწმენა საქმის გარეშე მკვდარია!“

მოხდეთ შორიდან და ნაბიჯს არ ვდგამდეთ მასთან მისაახლოვებლად. არა, ბატონებო! ღმერთს ამისთვის არ შეუქმნივარს!

ღმერთმა იმისათვის შეგვექმნა, რომ ჩვენი აზროვნების გაფართოებით, სამშობლოსათვის ღვანლის გაღებით, ინტელექტის გაღრმავებით და, რაც მთავარია, მოყვასისადმი სიყვარულით მივუახლოვდეთ მას — აბსოლუტურ გონს, აბსოლუტურ სიყვარულს, აბსოლუტურ სიკეთეს. ესაა უდიადესი სიმაღლე. ჩვენი ვალია, ამ სიმაღლის ნაპერწკალი აღმოვაჩინოთ ჩვენში და გავავლივით. ვიკმაროთ ოცსაუკუნოვანი ჩვილობის როლი და გავიზროთ ბიბლიაში მოცემული ცნება: „არაწერილი არს სჯულსა, ვითარმედ: მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ?“ (იოანე 10.34).

ბედნიერების მიღწევის მთავარი პირობა ღმერთისა და ადამიანის ერთიანობაა! და არა მის მიმართ არანებავყოფლობით — მონური მორჩილებით. ღმერთმა ჩვენ მონებად არ შეგვექმნა!

ლილა იორდანიშვილი

საბავშვო ბაღებში რეგისტრაციის დაწყება

რუმორც საბავშვო ბაღ-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა რამაზ სულამანიძემ განაცხადა, საბავშვო ბაღებში რეგისტრაციის დაწყების თარიღი ჯერ დაზუსტებული არ არის, თუმცა, პროცესი სავარაუდოდ ივლისში დაიწყება.

ამასთან, მისივე ინფორმაციით, თბილისში სამი ახალი საბავშვო ბაღის ასაშენებლად უახლოეს დღეებში ტენდერი გამოცხადდება. როგორც საბავშვო ბაღ-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა განმარტა, დაგეგმილია სამი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მოსკოვის გამზირზე (დანგრეული ბაღის ტერიტორიაზე), ნაძალადევის რაიონში (ყოფილი რკინიგზის ბაღი, მანჯგალაძის ქუჩაზე) და ისანში (მე-8 ლეგიონის დასახლებაში დანგრეული ბაღის ტერიტორიაზე). სულამანიძის განცხადებით, სამივე ბაღი ისეთ გეოგრაფიულ არეალშია, სადაც ბაღებზე დიდი მოთხოვნაა.



როგორც სააგენტოს ხელმძღვანელმა განმარტა, ახალი ბაღების მშენებლობა ზაფხულში დაიწყება, მათი დასრულება ახალ სასწავლებლებში მოხდება. თუმცა, მომავალი წლისთვის, სავარაუდოდ, თებერვალ — მარტში დასრულებული იქნება.

ახალი ნაციონალური პროპაგანდა

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე „რუსთავი-2“ ყველას კარგად ახსოვს. აგრესიული, დიად პროპაგანდისტული, სადაც არ არსებობდა არავითარი უზრუნველყოფის ეთიკური სტანდარტი, რომლის შემოქმედების მწვერვალზეც მრავლად ასულა თამარ ბალაშვილის, თენგივ გოგოტიშვილისა და სხვათა ნაციონალური სიუჟეტები.

ძველი სახეების რიგებს თანდათანობით ემატება ახალი თაობა, რომელიც სერიოზულ კონკურენციაში შედის გამოცდილ პროპაგანდისტ კადრებთან. გიორგი გაბუნია ამ მხრივ ნამდვილ აღმოჩენად იქცა, რომელმაც წარმატებით გაიარა „რუსთავი-2“ პროპაგანდის სკოლა. თუკი არჩევნებამდე წინეს დამწყები რუპორი ბოლომდე ვერ უძლებდა და დილის გადაცემის წამყვანების (პოლიტიკურად ნეიტრალურ) ოთახში ცხარე ცრემლით ტიროდა საკუთარი ხვედრის სიმძიმეზე, დღეს გაბუნიას ტელეეთერმა სულ სხვა დამაჯერებლობა და იმიჯი შეიძინა.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩვენ ერთ დღეში გავხდით „რუსთავი-2“-ის მეტამორფოზის მოწმე, თუ ღია, აგრესიული, პროპაგანდისტული ტელევიზიიდან არხი უცებ როგორ გარდაიქმნა შეფარული, პარტიზანული და საბოტაჟური ბრძოლის ინსტრუმენტად. „რუსთავი-2“ მაქსიმალურად ცდილობს წარმატებული კომერციული პროექტების შექმნას, რათა მოიზიდოს აუდიტორია და შემდეგ სიცრუით და სიყალბით გაუღწიოს ინფორმაცია შეასაღოს. განვლილი წლების მანძილზე პირდაპირი სათავაგობო, ღია თუ ფარული სუბსიდიით მომძლავრებული არხი სრული სატელევიზიო ინფრასტრუქტურითაა წარმოდგენილი ქართულ საეთერო ბაზარში, რაც საშუალებას აძლევს შექმნას კარგი ვიზუალის პროდუქცია და იმაუნებლოს მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმ დროს, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 78 პროცენტი ინფორმაციას ტელეეთერის საშუალებით იღებს და გარდა ინფორმაციისა, ყველაზე იავ გასართობს სწორედ ტელევიზია სთავაზობს, არხის მესვეურები კარგად ხვდებიან იმ შუალედს, თუ როგორ აავიან არხის სარედაქციო პოლიტიკა – ნაწილობრივ სიმართლე, პარტიული ინტერესების შესაბამისი თემატიკა, შეპარებული ტყუილები, პროპაგანდით გაუღწიებული ქვეტექსტი და ინტონაციური აქცენტები.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“ პირდაპირა დაკავშირებული ნაციონალური მოძრაობისთან და შეფარული გზით ატარებს ტელეეთერში ისეთ სარედაქციო პოლიტიკას, რაც პირდაპირ უპასუხებს ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს. ნებისმიერი დაკვირვებულ ადამიანი გაარჩევს ტყუილ-მართალს ნებისმიერ სიუჟეტში, თუ კარგად ესმის ნაციონალური მოძრაობის დღევანდელი პოლიტიკური ამოცანები.


პასუხისმგებლობისგან მაქსიმალურად თავის არიდება, პოლიტიკურ სცენაზე ადგილის შენარჩუნება, დარჩენილი ბერკეტებისა და მხარდამჭერების შენარჩუნება, მმართველობის დროს მოხვეჭილი ფულის დაკავება და გავლენა კონსტრუირებულ ბიზნესებზე – ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიმდინარე მიზნები. ხალხში გულგრილობისა და აპათიის დანერგვა, საბოტაჟი ჯერ კიდევ გავლენის ქვეშ მყოფ სფეროებში, კრიმინალური შემთხვევების განზოგადება

ზოგად ტრაგიკულ სურათამდე, უკანსვლის, დაქცეული ეკონომიკის, დევალირებული ლარის, გარღვეული ბიუჯეტისა და სხვა აპოკალიფსური მითების ყოველდღიური ლაღადი – ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიზნების შესაბამისი მიმდინარე ამოცანები, რომელთა შესრულებაზეც დროსა და ენერჯიას არ ხარჯავენ მისი წევრები, რომელთა დიდ ნაწილსაც ჯიბეში დეპუტატის მანდატი უდევს, ხალხის ფულს იღებს ხელფასად და ძირითად საქმიანობად მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება დაუსახავთ.

სწორედ ნაციონალური მოძრაობის მიერ შეთხზული მესიჯ-ბოქსის ნაწილია ყველა ის თემა, რაც ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება. ამ ადამიანის რეიტინგი, პოპულარობა და ნდობის ხარისხი ქართველ საზოგადოებაში ყველამ კარგად იცის და ნაცმოძრაობა მის მიერ კონტროლირებული ტელევიზიით მაქსიმალურად ცდილობს მისთვის ძირის გამოთხრას.

ბიძინა ივანიშვილმა კარგად დაანახა მთელ ქვეყანას, რომ ყველა მისი პროექტი პრაქტიკულად საქველმოქმედო ხასიათის იყო და მილიარდზე მეტი აქვს დახარჯული ამ მხრივ. ეს ქველმოქმედება, როგორც ღია, ისე დაფარული, როგორც აღმოჩნდა, ძალიან მისაღები და სასურველი იყო ნაციონალური მოძრაობისათვის, ვიდრე ხელისუფლებაში იყვნენ და ივანიშვილის ფულით ქვეყანაში წარმატებული პროექტები ხორციელდებოდა. მათ შორის კარგი იყო, როდესაც ივანიშვილის ფულით ხორციელდებოდა ყურძნის სუბსიდირება, რაც შემდეგ შეწყვიტა ხელისუფლებამ და ბენდუქიძის დოქტრინის თანახმად ბაზარს მიანდო დარგის რეგულაცია. ვინ იყო მართალი აგრომრეწველობის ხელშეწყობის საქმეში, ამაზე ციფრებიც მკაფიოდ მეტყველებს: საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014 წლის პირველი სამი თვის მონაცემებით 18%-თაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით, აქედან ექსპორტის მონაცემი 23%-ია. რუსეთმა, რომელიც სიდიდით მეხუთე ადგილზე იყო საგარეო ვაჭრობის მოცულობით, 2014 წელს მესამე ადგილზე გადმოინაცვლა და მასთან ვაჭრობა 57%-თაა გაზრდილი და 190 მილიონ დოლარზე მეტია. ეს ზრდა განპირობებულია სწორედ ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტის ზრდით. ეს ტენდენცია აუცილებლად გაგრძელდება და ჩვენი აგროპროდუქტი რეალიზების ბევრად მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევს, რაც სარგებელს მოუტანს თითოეულ ოჯახსაც და სახელმწიფოსაც. ბენდუქიძის ვეულური კაპიტალიზმის ეპოქა უკანმოუხედავად ჩაბარდა წარსულს.

ამ პროპაგანდას ახორციელებს იმ პარტიის ტელევიზია, რომელმაც ვაზი გააჩეხინა ქართველს. ის ყოველი ხელისუფლება, რომლის დროსაც ქალაქ ბათუმში საუკუნოვანი ტრადიციის მქონე გუნდს, ბათუმის „დინამოს“, 18-ათასიანი სტადიონი დაუნგრის, გაუყიდეს და ზედ სასტუმროს მშენებლობა წამოიწყეს. ქვეყანაში ახლოვდება არჩევნები და მსგავსი სიუჟეტები სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო ბრძოლის ნაწილი, რომლითაც არხის რედაქცია პოლიტიკურ მხარედ გვევლინება, რათა მაქსიმალური სარგებელი მოუტანოს მფლობელ პარტიას და ზიანი მიაყენოს „ქართულ ოცნებას“. იგივეს ემსახურებოდა თითქმის გამონოვლილი და შეთხზული ინფორმაცია თბილისის



მაჟორიტარების შესახებაც. ნაციონალური მოძრაობა არ ერიდება არც ერთ, თუნდაც ყველაზე დაუჯერებელ თემას, ოღონდ ზიანი მიაყენოს „ქართული ოცნების“ პოპულარობას. ხალხის თვალში ბიძინა ივანიშვილი წარმოადგენს სანდოობისა და სტაბილურობის ისეთ გარანტს, რომელიც მყარად დგას როგორც ქვეყნის, ასევე მთავრობის ზურგს უკან. ვინაიდან სადღეისოდ არ არსებობს რაიმე თემა, რომლითაც მოხდებოდა ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაცია, მისი კორუფციაში მხილების, მთავრობის საქმიანობაში ჩარევის, ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან მონოპოლიური ზეგავლენის შექმნის კუთხით, მის მოწინააღმდეგეებს მხოლოდ სიცრუე და ცილისწამებალა დარჩენიათ იარაღად.

ნაციონალურ მოძრაობას ვერ მოუხნელია ის მარცხი, რაც ბიძინა ივანიშვილთან ერთად აგემა ქართველმა ხალხმა და მათი ავტორიტარული მმართველობა უსისხლოდ დაასრულა. დღეს ისინი სარგებლობენ სამართლებრივ სახელმწიფოში ცხოვრების პრივილეგიით და აგრძელებენ თავის ამოქონალურ გამოსვლებს. საბედნიეროდ, ქართველი ხალხი ბრმა არაა და კარგად ესმის, რაც ხდება. რამხელაც არ უნდა იყოს მათი სურვილი, ისინი კარგად ხვდებიან რომ შურისძიების წყურვილი დაკმაყოფილებას ვერასოდეს შეძლებენ, მათი დრო ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა, სწორედ ეს განაპირობებს მათ ბოლმას და ანთხევენებს ამ გესლს, რითაც არც კონკრეტულ ადამიანს დაგიდევენ და არც ქვეყანას.

ნიკა ასლანიძე

ალიან-ჩალიანი

ადამიანის პირადი სსოპრების უფლება გარანტირებული იქნება

ბმის შესახებ პრემიერთან არსებული უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით კანონპროექტზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საკმაოდ ყოველსმომცველი კვლევის ჩატარება, რომელმაც აჩვენა გარკვეული სარგებები, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა არასამთავრობოებსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით.

— ამჟამად შემიძლია, გითხრა, რომ ჩვენი მუშაობა არის დასკვნით ეტაპზე, საკითხების უმრავლესობა არის შეთანხმებული. არის საკითხები, რომლის დაზუსტება მიმდინარეობს, თუმცა, ყველა ვთანხმდებით, რომ არსებობს საკითხები, რომელზეც ამ კანონპროექტის მიღების შემდეგაც გაგრძელდება მუშაობა, — განაცხადა მინდია ჯანელიძემ.

მისივე თქმით, მთავარი პრინციპი — ადამიანის უფლებები, თავისუფლება არის დაცული, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში არავინ არ ჩაერიოს და ეს იქნება გარანტირებული.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მუშაობის დეტალები განმარტა და განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის დაავადებით, სპეციალურმა უწყებამათაშორისმა კომისიამ ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მოქალაქეების დარ-

წმუნება იმაში, რომ დღეს ყველას უსმენენ, ქვეყნის იმიჯის ძირგამომთხრელ საქმიანობად შეიძლება შეფასდეს.

სხინვალა ახალგორის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა აჩრდდა

წინასწარი ინფორმაციით, აკრძალვა ორშაბათამდე იმოქმედებს. დე ფაქტო რესპუბლიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, დღეიდან ახალგორის მიმართულებით, საშუა ახალი სისტემა უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ახალი საშუალება ჯერ არ მიუღია.

უსაშვად დარჩენილთა შორის წეროვანში მცხოვრები ის



დევნილები არიან, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა დარჩენილი და ამ სამი წლის განმავლობაში ფორმა №9-ს მეშვეობით მოძრაობდნენ. ფორმა №9 კი, რომლითაც მოსახლეობა ოკუპირებული ტერიტორიის მიმართულებით გადაადგილებებისას სარგებლობდა, ძალადაკარგულად არის გამოცხადებული.

„ახალი უსიქოპტიური ნივთიერებების უსახებ“ კანონი კალაში უევიდა

პანწმის მისხედით, ყველა ნივთიერების არალეგალური ბრუნვა, რომელიც განეკუთვნება კრიმინალურ ბუნებულ ქიმიურ ნაერთთა კლასს, სამართალდარღვევას წარმოადგენს.

სასჯელის ზომა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადების, წარმოების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისთვის, ისევე, როგორც უკანონოდ შემოტანის, საქართველოდან უკანონოდ გატანის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისთვის 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა. შს-ს ცნობით, კანონის მიხედვით ქიმიურ ნაერთთა 9 კლასია განსაზღვრული, ასევე, განსაზღვრულია ცალკეული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ამ კლასებს არ განეკუთვნება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან ეფექტური ბრძოლისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე 2013 წლის ნოემბრდან მუშაობდა.

ინტერპრესი

წარდგინება

პოლიტიკა დაუნდობელი, ისტორია კი პრეს აკლავს სულს

„ის, რაზეც ახლა მთელი საქართველო „ყაყანებს“ მეთაურობს...“

ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე



ნაშრომში „ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე“

და ასე იყო ამ შემთხვევაშიც. საინტერესოა, რომ წიგნის განხილვას

ისტორიკოსმა ვაჟა კეშელავამ განსაკუთრებული ყურადღება

არ იან ცნობილი. მათ წარმოადგინეს ერისთვის აუცილებელი

და ასე იყო ამ შემთხვევაშიც. საინტერესოა, რომ წიგნის განხილვას

ნაშრომის ერთ-ერთი რეცენზენტი — ისტორიკოსი

„მნიშვნელოვანი არჩევნების შემდეგ ახალი ხელისუფლება

დაზარალებულთა დასახმარებლად



საკურორტო სეზონის ხელშეწყობისათვის

მთელი 4 წელიწადი პირობებშია სააკურორტო სეზონით

ვილისდროინდელი ცენტრალიზებული წესით ხარჯვა

ნაცების ხელისუფლება უბედურებაში ჩაეკარდა

ვიდრე თანხები გამოიყოფოდა, კიდევ ერთხელ

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ

დახმარებაზე განცხადება შემოსული იყო 400

ჯერ კიდევ ადგილობრივი თვითმმართველობამდე

საკურორტო სეზონის ხელშეწყობისათვის


აკაკალ გულში

- მძვინვარეობის დროს... პედაგოგების ექსპერტთა... ქოც-ნაცების ჩსუბი... მგონი მოდის ის დრო...

ნერტილოვანი ურაცები

მე მგონი აბსოლუტურად ყველამ, დიდმა და პატარამ კარგად უნყის

ამ კანონპროექტში. როგორც მინიმუმ უნდა აღვნიშნო, რომ ამ კონკრეტული კანონის



ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაზრისი ნარკოპოლიტიკაზე

თველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წელს – აკადემიკოსად.

მეცნიერული კვლევების პარალელურად არჩილ ცაგარელი 1939 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, სოხუმის (1939-1940) და გორის (1943-1945) პედაგოგიურ ინსტიტუტებში, აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1941-1942, 1945-1953), ხოლო 1954 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც 1970-1988 წწ. სათავეში ედგა გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრას. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების საქმეს. მისი ლექციები გამოირჩეოდა ლაკონიურობით, მაღალი მეცნიერული დონით და, როგორც წესი, უახლესი მსოფლიო მეცნიერული ლიტერატურის მიღწევების ანალიზით.

ბატონი არჩილი გეოლოგიის მრავალ დარგში მოღვაწეობდა. მისი ძირითადი შრომები ეხება საქართველოსა და კავკასიის მეზოზოური ნალექების სტრატეგრაფიისა და პალეონტოლოგიის, აგრეთვე მეოთხეულის გეოლოგიისა და გეომორფოლოგიის საკითხებს. მისი კვლევის ინტერესებში დიდი ადგილი ეკავა აგრეთვე ტექტონიკის, განსაკუთრებით კი ნეოტექტონიკის საკითხებს.

კავკასია, და კერძოდ საქართველო, ზედაცარცულის სტრატეგრაფიისა და პალეონტოლოგიის თვალსაზრისით მთელს ალპურ ზოლში დღეს ერთ-ერთი კარგად შესწავლილი რეგიონია და ეს გარემოება, პირველ რიგში არჩილ ცაგარელის სახელთან არის დაკავშირებული. მან პირველმა შექმნა საქართველოს დეტალური ბიოსტრატეგრაფიული და ნაწილების სქემა. მისი 1949 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელწოდებით „საქართველოს ზედაცარცული ფაუნა“, წარმოადგენს შემაჯამებელი ხასიათის პალეონტოლოგიურ ნაშრომს, რომელშიც მოცემულია საქართველო-

ში იმ დროისათვის ცნობილი გვიანცარცული ფაუნის 102 სახეობის დეტალური პალეონტოლოგიური აღწერები და გაანალიზებულია მათი სტრატეგრაფიული მნიშვნელობის საკითხი. ძირითადად, სწორედ ეს მონაცემები დაედო საფუძვლად აღნიშნულ ბიოსტრატეგრაფიული დანაწილების სქემას და მის მიერვე განხორციელებულ (1954, 1964) საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ზედაცარცული ზონების ბიოსტრატეგრაფიულ კორელაციას.

ნიშნდობლივია, რომ არჩილ ცაგარელის, როგორც პალეონტოლოგის, დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი არის მსოფლიოში ცნობილი „პალეონტოლოგიის საფუძვლების“ სახელწოდებით 1959-1963 წლებში გამოქვეყნებული მრავალტომეულის ერთ-ერთი ძირითადი თანაავტორი. ამ პერიოდში დაიწყო დაწყებული არჩილ ცაგარელი ფაქტობრივად კავკასიის მეზოზოური ნალექების ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი ხდება.

რეგიონული ტიპის გეოლოგიურ კვლევებში არჩილ ცაგარელის დიდ პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კავკასიის ტერიტორიაზე უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით თუ აქტიური მონაწილეობით შედგენილია რამდენიმე ათეული სხვადასხვა მასშტაბის გეოლოგიური რუკა და ლითოლოგიურ-პალეოგეოგრაფიული ატლასი.

თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში ბატონი არჩილი გატაცებული იყო კავკასიის რეგიონის გეომორფოლოგიისა და ნეოტექტონიკის საკითხების შესწავლით. მეოთხეულის სისტემას მიუძღვნა მან 1964 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც ფაქტობრივად საქართველოს მთელი მეოთხეული ნალექების პირველ შემაჯამებელ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს. არჩილ ცაგარელი დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ეროზიულ-დენუდაციური ზედაპირების გენეზისის საკითხს, რომელსაც განიხილავდა ახალგაზრდა ტექტონიკური მოძრაობების ფონზე.

არჩილ ცაგარელმა სრულიად დამსახურებულად დაიმკვიდრა ბრწყინვალე მეცნიერის სახელი. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მახვილგონიერებით და ერუდიციით, სრულყოფილად ფლობდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. საყურადღებოა, რომ გეოლოგიის გარდა ჰქონდა ინტერესების ფართო სფერო (ლიტერატურა, მუსიკა, სპორტი). ბატონმა არჩილმა ფრანგულიდან ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა ფრანგი კლასიკოსების – ონორე დე ბალზაკისა და პროსპერ მერიმეს მხატვრული ნაწარმოებები.

ბატონი არჩილი იყო რიგი საკავშირო თუ საერთაშორისო საუწყებოთა შორისო დარგობრივი კომისიისა და საბჭოს წევრი, აგრეთვე ლონდონის გეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი (1975). მისი ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მთავრობის ჯილდოებით იყო დაფასებული. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემიები.

არჩილ ცაგარელი მიეკუთვნება მეცნიერთა იმ კატეგორიას, რომელთა მეცნიერული მემკვიდრეობა დიდხანს რჩება ორიენტირად მომავალი თაობებისათვის. მის მიერ შესწავლილი ან შესასწავლად დასახული მეზოზოურისა თუ მეოთხეულის გეოლოგიის მრავალი საკითხი დღესაც აქტუალურია და ძალზედ მნიშვნელოვანი. სწორედ არჩილ ცაგარელს უნდა უმაღლესად ქართული გეოლოგიური საზოგადოება, რომ მისი მონაწილეობისა და მონაფეთა მონაწილეობის მიერ დატყუილი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები და გამოქვეყნებულია მაღალი დონის მეცნიერული ნაშრომები, რამაც ქართული გეოლოგიური სკოლის ავტორიტეტი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზარდა საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე.

ირაკლე ბამხრაიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

მინაილ აბაბაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ალიან-ჩალიანი

სარწყავი სისტემების ყველა ღიმი მამისტრალური არხი განმარტდება

რეაბილიტირებადი სარწყავი არხები რწყვის სფეროსთვის მზადაა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, მინისტრმა შალვა ფიფია, კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა, ქვემო ქართლის გუბერნატორმა, გიორგი მღებრიშვილმა და გაერთიანებული სამელორაციო სისტემების კომპანიის დირექტორმა, ვაჟა კირტაძემ უჯარმაში ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალურ არხზე სათავე ნაგებობის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს.

სამინისტროს ინფორმაციით, დღესათვის საქართველოს მასშტაბით, სარწყავი სისტემების პრაქტიკულად ყველა დიდი მაგისტრალური არხი და გამანაწილებელი განმარტებულია. მსგავსი მასშტაბის სამუშაოები ბოლო 25-30 წელია, არ ჩატარებულა. 2014 წელს, წინა წლებთან შედარებით სამჯერ მეტი ფართობი გასარწყავდება – სულ 88 ათასი ჰა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული სამელორაციო სისტემების კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალურ არხს, მასზე არსებულ გვირაბებს და შიდა ქსელებს. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, აღდგა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის წყლის გამტარუნარიანობა. სამელორაციო მომსახურება გაუმჯობესდება 4500 ჰა ფართობზე, ხოლო დამატებით წყალუზრუნველყოფილი გახდება 2000 ჰა ფართობი. ზემო მაგისტრალური არხით გარდაბნის მუნიციპალიტეტის 20-მდე სოფელი ისარგებლებს, რაც მოიცავს 6370 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემა სათავეს სოფელ პალოში იღებს მდ. იორზე არსებული სათავე ნაგებობით და ჩაედინება თბილისის წყალსაცავში (თბილისის ზღვაში). ზემო სამგორის ზემო მაგისტრალური არხი მრავალფუნქციურია. იგი ავსებს თბილისის ზღვას, აქვს ირიგაციული და ენერგეტიკული (ჰიდროელექტროსადგურები) დანიშ-



ნულება, თბილისის ზღვის წყალი გამოიყენება ქალაქის წყალმომარაგებისათვის. მაგისტრალურ არხზე მდებარეობს 9 გვირაბი (ჯამში 6 კმ).

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული სამელორაციო სისტემების კომპანიის მიერ სარემონტო სამუშაოები დაიგეგმა 306 ობიექტზე, აქედან, 300 ობიექტზე სამუშაოები უკვე დასრულებულია. დღესათვის, განმარტებული და შეკეთებულია სარწყავი სისტემების 1291.5 კმ მაგისტრალური არხი და პირველი რიგის გამანაწილებელი.

დავნილთა მინისტრს კიდე პირთი მოაღვილე აქოლა

იძულებითი გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს კიდევ ერთი მოადგილე ეყოლება. როგორც მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ურნალისტებს მინისტრმა დაავით დარასველიძემ განუცხადა, მისი ახალი მოადგილე ეკომიგრანტებთან დაკავშირებულ საკითხს გაუწევს კურირებას.

„დღევანდელ სხდომაზე წარდგენილი იყო მთავრობის დადგენილების პროექტი სამინისტროს დებულებაში

ცვლილებების თაობაზე, რაც ემსახურება სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას ეკომიგრანტთა პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.

სამინისტრომ თითქმის დაასრულა ეკომიგრანტთა საკითხების შესახებ კანონპროექტზე მუშაობა. სამინისტროს დაემატება მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე, რომელიც გაუწევს საკითხს კურირებას, ასევე დეპარტამენტი ორი სამმართველოთი. შესაბამისად ჩვენ გადაძლიერებთ იმ პრობლემების გადაწყვეტას, რაც უკავშირდება სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ ჩვენს თანამემამულეებს პროექტით გათვალისწინებულია, რომ ეკომიგრანტი იქნება ისეთი პირი, რომელიც დაზარალდა სტიქიური მოვლენების შედეგად და იძულებული ხდება გადაადგილდეს ერთი მუნიციპალიტეტიდან სხვა მუნიციპალიტეტში, – განაცხადა დარასველიძემ.

ნიგერიის მოქალაქე მედიკამენტების კანონდარღვევით უემოტანა სსკა

რომორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 29 აპრილს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „თბილისის აეროპორტი“ არაიდენტიფიცირებული მედიკამენტების შემოტანის ფაქტი გამოვლენიდა. მებაჟე ოფიცრებმა სტამბული-თბილისის რეისით ჩამოფრენილი ნიგერიის მოქალაქე ს.ა.ა.-ის ბარგის დათვალიერებისას პირველადი შეფუთვის არმქონე, სხვადასხვა სახის არაიდენტიფიცირებული მედიკამენტი აღმოაჩინეს.

მედიკამენტების საერთო წონამ 288,43 გრამი შეადგინა. საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა რენტალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველ მთავარ სამმართველოს.



წერილი რედაქციას

ბოლო პერიოდში გაზრდებითა და ტელევიზიით ხშირად ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პურის ცნობაში გამოიყენება საფუარი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენას ახდენს. ზოგი უფრო შორსაც წავიდა და ამტკიცებს, რომ ასეთი საფუარი ხელს უწყობს ონკოლოგიურ დაავადებებს, რაც არავითარ მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული არ გახლავთ და ხმაბლად სენსაციების მაძიებლებისთვისაა განკუთვნილი. უფრო მეტიც, შოტლანდიელმა მეცნიერმა ალექსანდრე ფლემინგმა 1928 წელს დაადგინა, რომ ობის სოკო (პურის დაავადება), რომელიც ხშირად გვხვდება პურის დაძველებისას, ეფექტურად ებრძვის სხვა მიკრობებს, სწორედ ამას უწოდებდნენ შვიტმა მედიკამენტი „პენიცილინი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მრავალი დაჭრილისთვის უებარი წამალი გახდა. თავად მეცნიერი ამ გამოკვლებისთვის 1946 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

თუმცა, ალბათ უმჯობესია, დავუბრუნდეთ საფუარის თემას, რომელიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია და გავიგოთ როგორია დამოკიდებულება ამ პროდუქტისადმი საქართველოში, რომელიც პურის საკმაოდ დიდი რაოდენობით, წელიწადში 800 000 ტონას მოიხმარს.

სამწუხაროდ, თბილისის საფუარის ქარხანამ, რომელსაც შესანიშნავი ტრადიციები ჰქონდა და პროფესიონალი სპეციალისტებიც ჰყავდა, 1992 წლიდან არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სანარმო ვერ უზრუნველყო საფუარისთვის საჭირო კომპონენტების შემოტანა. ამიტომ ქარხნის მუშაობაში გაჩნდა სერიოზული შეფერხებები, ხოლო შემდგომ საერთოდ შეწყვიტა ქართული საფუარის წარმოება. აქედან გამომდინარე, პურის დამამზადებელ სანარმოებს მიეცათ წინადადება, ადგილზე შეექმნათ საამქროები, რომლებშიც შეიტანდნენ სათანადო ნედლეულს და მოამზადებდნენ საფუარს, მაგრამ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის სწრაფმა შემოსვლამ ხსენებული საამქროების ნაცვლად გააჩინა საფუარის შემომტანი უცხოური ფირმები. საფუარმა თავიდანვე შემოსვლა დაიწყო თურქეთიდან, თანაც რამდენიმე კონკურენტი ფირმის სახით. იყო საფუარის შემოტანის ცდები ირანიდან და სხვა ქვეყნებიდანაც. რა თქმა უნდა, ქართველი სპეციალისტები და პროფესიონალები დავინტერესდით მომწოდებელი ფირმების საქმიანობით და შევეცადეთ, ადგილზე გავცნობოდათ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას, რათა გამოგვერიცხა თურქული პროდუქციის სანდოობის თაობაზე საზოგადოებაში მოარული ჭორები.

ევროპაში ცნობილია ორი მსხვილი საფუარის ფირმა – ფრანგული „ლესაბლი“ და შოტლანდიური „გისტერ ბროკადა“. სწორედ „ლესაბლის“ შვილობილი კომპანია დაფუძნდა თურქეთის ქალაქ ამასიაში, სადაც თავმოყრილია შაქრის მწარმოებელი სანარმოები. აქ ქარხნის ნარჩენებისგან (სელასისგან) მზად-

მენარეობა ისევ ხელმეორეულია

ზოგი რამ პურის საფუარზე

დება მაღალი ხარისხის საფუარი, რომელსაც აწვდიან რუსეთს, უკრაინას, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, ალჟირს, მთელ რიგ არაბულ რესპუბლიკებს. ამასთან, აზერბაიჯანში ამუშავდა „პაკმაიას“ საფუარი, ქარხნის ფილიალი „აზმაია“, ხოლო სომხეთში – ამერიკული ინვესტიციით აშენებული საფუარის ქარხანა. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული ქარხანა ვერ შევინარჩუნეთ და ამიტომაც ვრცელდება საფუარზე ამდენი უაზრო ჭორი და თითქმის გამოწონილი ვერსია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ხელისუფლების მხრიდან მენარეობის განვითარებას სათანადო ხელშეწყობა არა აქვს.

ასევე მკითხველს მინდა, განუმარტო, რომ პროდუქტში მარილის, შაქრის, საფუარის გაზრდილი ოდენობა, სხვადასხვა საკვები დანამატის მოუზომავად, უფიცილოდ გამოყენება, რა თქმა უნდა, საზიანოა, მაგრამ არავის აუკრძალია არც მარილი და არც შაქარი, უბრალოდ, მისი მოხმარება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. მაგალითად, პურის ცნობაში ფართოდ დაინერგა სწრაფი ინტენსიური ტექნოლოგიები (გაძვირდა ბუნებრივი აირი, ელენერჯია, დამხმარე მასალები) და ამ დროს ქალაქში გაჩნდა „მუქტები“ და „ნუგეშები“. საინტერესოა, რის ხარჯზე სთავაზობენ მომხმარებლებს ასეთ „მუქტა“



პროდუქტს, ან რით „ანუგეშებენ?“ მომხმარებელმა ხომ უნდა იცოდეს, თავის პროდუქციას ვინ სთავაზობს და რას სთავაზობს. აი, წინასწარდგომოდ დღეებში იყიდებოდა იტალიური პასკები, რომელიც კაცმა არ იცის, როდის გამოაცხვეს, როდის გამოგზავნეს და დღემდე რის ხარჯზე ინარჩუნებს საგემოვნო თვისებებს. დაფიქრდეთ, ალბათ ეს კეთდება კონსერვანტების ხარჯზე, რასაც დიდი გამოყენება აქვს საკვები პროდუქტების დამზადებისას, მით უმეტეს როდესაც ასეთი პროდუქტი უცხოეთიდან შემოდის.

დღეს ბევრს საუბრობენ სურსათის უვნებლობაზე, მის ხარისხზე. ჯანსაღი საკვები ხომ ჯანმრთელობის საწინდარია. როგორც პურის მრეწველობის წარმომადგენელმა მინდა გითხრათ, რომ პურის ნომერ პირველი მომხმარებლის პროდუქტის ტექნოლოგია საკმაოდ გამჭვირვალეა და არავითარ საიდუმლოებას არ შეიცავს. ამ რამდენიმე წლის წინათ, საფუარის შემომტან ერთ-ერთ ფირმას ეთხოვეთ, საქართველოში ჩაეტარებინათ სწავლება-სემინარი, რაც ძალიან საინტერესო და სასარგებლო გამოდგა. მას უამრავი პურის დამამზადებელი და საფუარის მომხმარებელი დაესწრო. სემინარის შემდეგ ფირმა ფრანგმა ხელმძღვანელმა შესაბამისი სერტიფიკატიც გასცა.

ვფიქრობ, საჭიროა, ამ მიმართულებით მომავალშიც გაგრძელდეს მუშაობა, წარმოებაში დაინერგოს ცივილიზური წესები, ხელი შევუწყოს შეფუთული ნაწარმის წარმოებას, რადგანაც საქართველოში გაჩნდნენ მონოპოლისტები, რომლებიც საკმაოდ მაღალ ფასებს სთავაზობენ მენარეობებს. არ შეიძლება ისედაც გადატვირთულ ქალაქში დილით ამდენი სადისტრიბუციო მანქანა გამოდგეს. მთელ მსოფლიოში კვების პროდუქტებით მარკეტები, მით უმეტეს დიდი მოცულობისა, მხოლოდ ღამე მარაგდება. ჩვენთან კი ვერ გაივლი, დილით ნაგვის გამტანი, სადისტრიბუტორი, სამარშრუტო და საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველა ერთად გამოდის, რაც აუცილებლად მოსაგვარებელია. დამაფიქრებელია უკვე არსებული მაღაზიების წინ სხვადასხვა ფირმების ჯიხურების ჩადგმა, რითაც ჯანსაღ კონკურენციას კი არ ვუნწყობთ ხელს, პირიქით, ბიზნესებს ერთმანეთთან ვაპირისპირებთ. გაუგებარია, მაგალითად, რატომ აიღეს ჯიხურები საბურთალოზე დელისთან, აგრეთვე, ნაძალადევი გადასასვლელ ხიდთან და იქ „ნუგეშის“ ჯიხურები რატომ ჩადგეს. გვიპასუხონ, თუ არ შეიძლება ერთისთვის, რატომ შეიძლება იგივე მეორისთვის. მით უმეტეს თუ იქ ყველაფერი წესიერად იყო გაფორმებული. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, საქართველოში თუ სამართლიანობა არ დამყარდება და თანაბარი სამეწარმეო გარემო არ შეიქმნება, გარწმუნებთ, ქვეყანაში ვერც ეკონომიკა განვითარდება და ვერც მცირე და საშუალო მენარეობა.

მალხაზ დოლიძე, პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, გვე. მეც. დოქტორი.

საინვესტიციო სფერო

ცოტა ხნის წინათ დიდად გაბიარებული სუვერენული ფონდის შექმნაზე, რომელსაც სამამულო ეკონომიკაში სოლიდური პროექტების განხორციელებაში მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეერულებინა და რომლის ჩამოყალიბებაცთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურებაზე დიდად სახსრები დაიხარჯა, ხელი აიღეს. მის ნაცვლად გადაწყვიტა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სხვა სახელმწიფო სტრუქტურის – „საქართველოს განვითარების ბანკის“ შექმნა.

საკმაოდ დიდი ალბათობით ვარაუდობენ, რომ ახალ სტრუქტურას საპარლამენტო უმრავლესობის ახლანდელი ლიდერი დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს, რაც ცოტა ხნის წინათ ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა. ალსანიშნავია, რომ „საქართველოს განვითარების ბანკის“ შექმნის ინიციატივა ქვეყნის მთავრობის ეკონომიკურ საბჭოს ეკუთვნის. ეს სტრუქტურა უკვე არსებული საინვესტიციო ფონდების ბაზაზე შეიქმნება, მის სამეთვალყურეო საბჭოს კი პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს.

სახელმწიფოს რამდენიმე საინვესტიციო ფონდი და მათში გადანაწილებული ფინანსური სახსრები, ასევე ადამიანური რესურსი აქვს. ამდენად, ლაპარაკია მათ ერთ შეკრულ ფინანსურ ინსტიტუტად გაერთიანებაზე, – განაცხადა საკითხთან დაკავშირებით მთავრობის ეკონომიკური საბჭოს მდივანმა რომან ჩხენკელმა, – განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ახალი სტრუქტურა არანაირად არ

სტრუქტურის სახესვლა

იქნება კომერციული ბანკების კონკურენტი – მას არ ექნება დეპოზიტების მიღების ან ანგარიშსწორების სისტემის შექმნის უფლება. მასში მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი სახსრები შეიკრიბება, რის მეშვეობითაც იგი იმ პროექტებს გააგრძელებს, რომელთა ხორცშესხმა დაწყებულია. როგორც ჩანს, საპარტნიორო ფონდის ნაცვლად განვითარების ბანკის შექმნა, არსებითად, სახელმწიფო სახსრების კონსოლიდირების გარდა, ამ სტრუქტურისთვის უფლებების გაფართოებას ნიშნავს.

სახელმწიფო განვითარების ბანკები მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებენ და ისინი როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქტივებსა და მათი ექსპლუატაციიდან მიღებულ შემოსავალს, ასევე სახელმწიფო ფინანსებს ფლობენ. ისინი არსად არ გადაფარავენ კომერციული ბანკების ფუნქციებს, არც მათი კონკურენტები არ არიან, – ამბობს საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალის „ჯორჯიან ბიზნეს ინსაიტის“ ხელმძღვანელი, ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ლექვიანიძე, – ამ ტიპის სტრუქტურების უაღრესად დადებითი როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში ისიც არის, რომ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამამულო პროდუქციის ექსპორტში, დიდია მათი სარგებელი ქვეყანაში ხარისხიანი ექსპორტული საქონლის შემოტანაშიც.

ექსპერტის აზრით, ახალი საფინანსო

ინსტიტუტის მოღვაწეობის პრიორიტეტი სერიოზული სახელმწიფო პროექტების მხარდაჭერა იქნება, რომლებიც, გარკვეულ მიზეზთა გამო, კომერციული ბანკებისთვის მიმზიდველი არ არის. ასევე დიდი ყურადღება დაეთმობა ახალი ბიზნესების, ინოვაციური პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, იმის გათვალისწინებით კი, რომ ანალოგიური სახელმწიფო ფინანსური სტრუქტურები მრავალ ქვეყანაში დიდი წარმატებით მოღვაწეობენ, ბატონი ლექვიანიძე იმედოვნებს, რომ მისი შექმნა საქართველოშიც გაამართლებს.

– **ოღონდ მთავარი, სახელმწიფო მონულებმა ძალიან არ მოიწინაინონ და ამ ბანკს ისეთი ფუნქციები არ მიანიჭონ, რომლებიც კომერციულ სექტორს შეზღუდავს, თორემ გრძელვადიანი კაპიტალის შესავსებად ეს ძალიან კარგი საშუალებაა**, – ასკვნის ექსპერტი.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი სახელმწიფო საფინანსო ინსტიტუტის შექმნის იდეას ყველა სპეციალისტი მაინცდამაინც დადებითად არ აფასებს, კერძოდ, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, ახლად დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი რომან გოციონიძე მიიჩნევს, რომ განვითარების ბანკი წარუმატებლობისა და სკანდალებისთვისაა განწირული.

– **მთავარი უარყოფითი მხარე ისაა, რომ განვითარების ბანკი ძალიან დიდი**

ტიერთია დეფიციტური ბიუჯეტის მქონე ქვეყნისთვის, რომელიც დიდწილად ვალებით ფორმირდება, – აცხადებს იგი, – ეს, ფაქტობრივად, სესხით შექმნილი ბანკი იქნება, რადგან საქართველოს ბიუჯეტის 18 პროცენტი საშინაო და საგარეო ვალებით ფორმირდება. საქმე ისაა, რომ მოსახლეობისგან, კომერციული ბანკებისგან და ბიზნესისგან მთავრობის მიერ ნასესხებმა საშინაო ვალმა, მაგარეოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მილიარდნახევარ ლარს გადააჭარბა და ეს თანხა წლის ბოლომდე კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.

ამასთან, იგი იმასაც უსვამს ხაზს, რომ კომერციული ბანკები არა იმდენად გრძელვადიანი დიდი მასშტაბის პროექტების დაფინანსებას გაურბიან, რამდენადაც არაპერსპექტიულებში ფულის ინვესტირებას ერიდებიან. ბანკირებიც და აქციონერებიც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ნაკლებად სარგებლიან პროექტებში სახსრების დაბანდების წინააღმდეგ არიან, რაც სავსებით გასაგებია. ასეთი დაინტერესება კი სახელმწიფო ჩინოსნებს, რომლებიც დიდწილად ფორლიტიკურ კონიურქტურაზეა დამოკიდებული, ასეთი დაინტერესება, ცხადია, ძალიან ნაკლები აქვთ.

– **სახელმწიფოს ქონებაზე დაფუძნებული სანარმო ეფექტიანი ვერ იქნება, – ამბობს ბატონი გოციონიძე.**

რამდენად მართალია ექსპერტის ეს მოსაზრება, როგორ გაუძლებდა ახალი სახელმწიფო საფინანსო სტრუქტურა საქმეს, ვინ იქნება მისი ხელმძღვანელი და როგორი გუნდი წარუძღვება მის მოღვაწეობას, ახლო მომავალში გავიგებთ.

ოთარ ტურაბელიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრის პროფესორი, მედიკო-ბიოლოგიური და სოციალური მედიცინის აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბურიძე თავის 90 წლის იუბილეს 68-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური, 10-წლიანი ადმინისტრაციული და 60-წლიანი საზოგადოებრივი მოღვაწეობით სვდება.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, დამსახურებული მეცნიერი, გამომგონებელი, მედიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე 1924 წლის 1 მაისს თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში დაიბადა. ფარმაციის სპეციალობის შესწავლა ბიძის, ცნობილი პროფესორის პავლე ჭუმბურიძის რჩევით გადაწყვიტა და 1941-1945 წლების სამამულო ომის მძიმე ხანაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა.

ომის დამთავრების შემდეგ აკადემიკოს იოველ ქუთათელაძეს, სტალინის სახელობის სტიპენდიატი სტუდენტისათვის კათედრის თანამშრომლად დარჩენა შეუთავაზებია. მას შემდეგ დაინდო ბიძინა ჭუმბურიძის აღმასვლა მეცნიერების სფეროში მწვერვალებისაკენ. რიგითი ლაბორანტიდან კათედრის ხელმძღვანელობამდე – ეს გახლავთ ბატონი ბიძინას მიერ განვლილი გზა. უკან დარჩა შრომისა და ძიების ცხრა ათეული წელი, დღევანდელი კი ახლავს თანფქრი ფარმაციის მომავალზე და იმ ადამიანებზე, ვინც დიდი ღვაწლი დასდო ამ დარგის განვითარებას საქართველოში. ბატონი ბიძინა ჭუმბურიძე განსაკუთრებულ მადლიერებას თავისი მასწავლებლის, არისტრას მშვიდლობის მიმართ გამოხატავს, რომლის ხელმძღვანელობითაც 30 წელი იმუშავა ფარმაცევტული ქიმიის კათედრაზე.

1976 წლიდან დღემდე ბატონი ბიძინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის პროფესორია; 1994-2004 წ. წ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფარმაცოპიის კომიტეტის თავმჯდომარე და 1992 წლიდან დღემდე ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის“ სამედიცინო კოლეჯის პროფესორია.

ბატონი ბიძინა, მიუხედავად სიჭარბისა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია და დღესაც ბოლომდე იხარჯება მშობლიური უნივერსიტეტისთვის.

1952 წელს ბიძინა ჭუმბურიძეს მიენიჭა ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1964 წელს – ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხები. მისი მეცნიერული პროდუქტიულობა კვლევებსა და პუბლიკაციებში აისახა. გამოქვეყნებული აქვს 250 სამეცნიერო ნაშრომი, 8 სახელმძღვანელო ფარმაცევტული ქიმიის თეორიულ და პრაქტიკულ სფეროში, 4 დამხმარე სახელმძღვანელო, 3 მონოგრაფია ფარმაციის აქტუალურ საკითხებზე, 21 გამოგონებაზე აქვს საავტორო მოწმობა.

აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ბატონი ბიძინა ჭუმბურიძე მომავალი თაობის ჭეშმარიტი აღმზრდელიცაა. ის 22 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი და 60-ზე მეტი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი-ოპონენტი გახლდათ.

ქართული ფარმაციის სინამდვილეში პროფესორმა ბიძინა ჭუმბურიძემ საფუძველი ჩაუყარა მეცნიერული კვლევის ისეთ მიმართულებას, როგორცაა ქრომატოგრაფიული ანალიზის მეთოდების შემუშავება; ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი; სამკურნალო პრეპარატების ფარმაცოპინტიკური კვლევა; სამკურნალო პრეპარატების სტანდარტიზაცია და სხვა. მის სახელს უკავშირდება ჯერ კიდევ 1948 წელს, საქართველოში პირველად ფარმაცევტულ ანალიზში ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენება, ამ სფეროში პირველი – 1950 წლის პუბლიკაციებიც სწორედ მას ეკუთვნის. მან, საქართველოდან პირველმა, 1954 წელს, მოსკოვის ფარმაცევტოლოგიის სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგინა სამეცნიერო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგინა სამეცნიერო მოხსენება თემაზე: „ოქსიმეთილანტრაქინონების ქრომატოგრაფიული ანალიზი“, რომლის შემდეგაც აღნიშნული მიმართულებით კვლევამ ფართო მასშტაბები მიიღო, ამის დასტურია 1962 წელს ლომონოსოვის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ქრომატოგრაფიული ანალიზის საკითხებზე მის მიერ გაკეთებული ორი მოხსენება. პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის მეცნიერული აღიარება გახლდათ ის, რომ ამ კონფერენციაზე იგი სამეცნიერო სექციის ხელმძღვანელობდა.

1964 წელს პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის ავტორობით გამოიცა მონოგრაფია სახელწოდებით „იონმცვლელი პოლიმერების გამოკვლევა მედიცინაში გამოყენების მიზნით“.

1971-1975 წლებში დამუშავდა და საკავშირო მასშტაბით დაინერგა ადამიანის ბიოლოგიურ სითხეებში ნარკოტიკების განსაზღვრის ქრომატოგრაფიული მეთოდები.

1977 წელს თბილისში მისი ხელმძღვანელობითა და ორგანიზებით ჩატარდა საკავშირო სიმპოზიუმი – „ქრომატოგრაფიული მეთოდები ფარმაციაში“, რომელზეც პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძისა და მისი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთა მიერ 12 მოხსენება გაკეთდა, ხოლო 1986 წელს ქ. მოსკოვში ჩატარებულ ქრომატოგრაფისტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე ბატონმა ბიძინამ მოხსენება თანაავტორებთან ერთად წარადგინა.

1977-1988 წლებში ბატონი ბიძინა იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქრომატოგრაფიის საპრობლემო საბჭოს წევრი. აღნიშნულ სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის იგი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ „ქრომატოგრაფიის განვითარებისათვის კაცობრიობის საკეთილდღეოდ“ განუწილა შრომისთვის საპატიო სიკვდილი დაჯილდოვა.

იუბილარის მიერ საქართველოში შექმნილი სამეცნიერო სკოლებისა და მიმართულებებისაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამკურნალო პრეპარატების ფარმაცოპინე-



ქართული ფარმაციის პატრიარქი

ტიკური კვლევები. მის მიერ 1979 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრასთან ჩამოყალიბდა სემინარი ფარმაცოპინეტიკის საკითხებზე, რომლის მუშაობაში სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ თერაპიის ს/კ ინსტიტუტის, მეან-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის, და ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები.

ფარმაცოპინეტიკის საკითხებზე 1982 წელს თბილისში ჩატარდა I საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ფარმაცევტული ქიმიის კათედრის თანამშრომლებთან ერთად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებების ავტორი პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე გახლდათ. კონფერენციის მასალები გამოიცა 2 ტომად. ბიძინა ჭუმბურიძე და ფარმაცევტული ქიმიის კათედრის თანამშრომლები სამეცნიერო მოხსენებებით 1985 წელს ქ. კაუნასში ჩატარებულ ფარმაცოპინეტიკოსთა II საკავშირო კონფერენციაზეც წარდგნენ.

პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე არაერთი დღეისა და წამოწყების ავტორი გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით თსსუ ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრასთან ჩამოყალიბდა და წლების მანძილზე ფუნქციონირებდა სამკურნალო პრეპარატების სტანდარტიზაციის ლაბორატორია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში წარმოებული სამკურნალო საშუალებების სტანდარტიზაციის დონის ამაღლებაში. მისი თაოსნობით შესრულდა და გამოიცა ფუნდამენტური ხასიათის შრომები სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაციის საკითხებზე. იგი აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო სტანდარტიზაციის და წამლის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ბიძინა ქართული ხალხური მედიცინის აქტიური მკვლევარიცაა. მისი თაოსნობით 180 წამალი იქნა გამოკვლეული, რომელთაგან რამდენიმე ათეულზე მომზადდა ნორმატიული დოკუმენტაცია და სერიულად ინარჩუნება.

მაღალი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებებით გამოირჩევა პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის ფუნდამენტური ხასიათის შრომები ვაზისა და ფუტკრის პროდუქტების კვლევებთან დაკავშირებით. მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის პრაქტიკული შედეგია მისი თაოსნობით შექმნილი ისეთი ეფექტური სამკურნალო საშუალებები, როგორებიცაა: სანოგენი, ტრაცეპტინი, დინდგელის მალამო და ნაყენი, აპივენუნგი, უალკოჰოლო ღვინოები – არმაზი, ღვინისა, ცისკარი და სხვა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, 1950 წლიდან დღემდე ბიძინა ჭუმბურიძე არის ფარმაციის სხვადასხვა მიმართულებების არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილე. 1978 წელს ის ქ. თბილისში ჩატარებული საქართველოს ფარმაცევტული საზოგადოების ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. მისივე რედაქტორობით გამოიცა ყრილობის მასალები.

პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძეს მიაჩნდა, რომ ცოდნას მხოლოდ რეგიონულ დანიშნულება კი არა, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს, რომ წარმატებების საწინდარი, დაუღალავ შრომასთან ერთად, სხვისი ცოდნის, გამოცდილების გაზიარება და

გააზრებაა. იცოდა, რომ მეცნიერებაში კარჩაკეტილობა არ იყო გამართლებული. ამიტომაც არ სჯერდებოდა საბჭოთა კავშირის მასშტაბებს და აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. მისი სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებაზე დიდი გავლენა იქონია მოსკოვისა და ევროპის ქვეყნების სხვადასხვა ქალაქებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში გავლილმა სტაჟირებებმა.

ბიძინა ჭუმბურიძის სამეცნიერო მოღვაწეობა უკავშირდება ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ისეთ ცნობილ სამეცნიერო ცენტრებს, როგორებიცაა: თერაპიის, კარდიოლოგიის, მეან-გინეკოლოგიის, იზოტოპების სამეცნიერო-კვლევითი, პრაღის, ბუდაპეშტის, ბერლინის წამლის სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის, მოსკოვის ფარმაცოლოგიის, ქიმიურ-ფარმაცევტული, პოლიმერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მოსკოვის სამედიცინო უნივერსიტეტი და სხვ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ბიძინა ჭუმბურიძის პედაგოგიური საქმიანობა გახლავთ. იგი იყო და დღემდე რჩება მისაბაძ, სტუდენტებისათვის საყვარელ ლექტორად. მისი ყოველი ლექცია სიხალეებითაა გაჯერებული. იგი დაჯილდოებულია ორატორული ნიჭითა და კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარით.

პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე დღესაც აქტიურად მოღვაწეობს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. გამორჩეულად აღვნიშნავთ მისი ხელმძღვანელობით შედგენილ სამეცნიერო საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცევტულ ანალიზში“, რომელიც მოთხოვნადია და მისივე ხელმძღვანელობით წარმატებულად ხორციელდება. წლების მანძილზე ბატონი ბიძინა იყო საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეთოდსაბჭოს წევრი, თსსუ-ის ფარმაცევტული ფაკულტეტის მეთოდკომისიის თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს ფარმაცევტოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შედგენაში. მის კალამს ეკუთვნის ქართულ ენაზე შედგენილი და გამოცემული ფუნდამენტური ხასიათის სახელმძღვანელოები, რომელიც გამოიყენება სწავლების სამივე დონეზე.

პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე აქტიურადაა ჩართული ქართული ფარმაციის, როგორც დარგის, რეფორმირებისა და რეგულირების საკითხებში. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, არაერთი კანონქვემდებარე აქტი, ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო დოკუმენტაცია და საცნობარო ლიტერატურა. აღსანიშნავია მისი თაოსნობით ქართულ ენაზე შედგენილი და გამოცემული სახელმწიფო ფარმაცოპიის I და II ტომები. ამჟამად პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით დასრულდა ორწლიანი მუშაობა ახალ კანონზე წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ. პრაქტიკულ ფარმაციაზე მისი ზრუნვის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ 1970-1992 წლებში იგი იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი-პროფესორი.

აღნიშვნის ღირსია პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის საზოგადოებრივი საქმიანობა. 1951 წლიდან იგი საქართველოს ფარმაცევტული საზოგადოების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და აქტიური წევრია; 1963-1971 წლებში იყო თბილისის ფარმაცევტოლოგიის საზოგადოების თავმჯდომარე, 1971-1979 წლებში კი ვიცე-პრეზიდენტი. 2005 წლიდან პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე საქართველოს ფარმაცევტოლოგიის საპატიო პრეზიდენტი, დაარსებიდან დღემდე საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური ლექტორია, რისთვისაც დაჯილდოებულია ვაჟილოვის სახელობის მედლით და მედლით აქტიური მოღვაწეობისათვის. მისი ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა და მიღწეული წარმატებები სახელმწიფომ აღიარა: ბატონი ბიძინა გახლავთ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და ღირსების ორდენის კავალერი.

პროფესორ ბიძინა ჭუმბურიძის ცხოვრება ქართული ფარმაციის მიერ განვლილ განვითარების გზას ორგანულად ერწყმის და მისი უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. მეცნიერი თავის იუბილეს ხვდება შესანიშნავ ოჯახთან ერთად. ოჯახის თანადგომის გარეშე შეუძლებელია, მიაღწიო წარმატებებს. მეუღლე, ქალბატონი რუსუდანი, ასევე ცნობილი მეცნიერია, შვილებიც, ვახტანგი და თამაზი, მშობლების კვალს გაჰყვებიან და თავიანთი სიტყვა თქვენს ქართულ მეცნიერებაში. ბაბუსის ღირსეულ გზას შვილიშვილები და შვილთაშვილები აგრძელებენ, დარწმუნებული ვართ, ისინიც იტყვიან თავიანთ სათქმელს.

პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე დღესაც ჩვეული რიტმით აგრძელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი უანაზღვრად გადასცემს თავის ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდობას. სჯერა საქართველოს უკეთესი მომავლისა და სურს, რომ წარმატებული ქვეყნის მოქალაქე იყოს, მან ხომ ამ მიზნისთვის თავი იქცაკეთებელი უკვე გააკეთა.

ბიძინა ჭუმბურიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 90 წლისთავს II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით, ფარმაცევტული მეცნიერება XXI საუკუნეში აღნიშნავს. ისევე მისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შედეგად გახლავთ.

ბატონო ბიძინა გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებულ მოღვაწეობას ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ალიონა ზაპუნიძე, საქართველოს ფარმაცევტოლოგიის ვიცე-პრეზიდენტი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„საქართველომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც დაენიშნება მას დაუახლოვდეს ევროპას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დარჩება „არაცივილიზებულ სამყაროსთან – რუსეთთან ერთად“... განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. ეს ითქვა ქვეყანაში განაღებული მწვევადის დისკუსიის გამო პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რაც აუცილებელია საქართველოს მიერ ხანმოკლე სავიზო რეჟიმის მიღებისთვის ევროკავშირის ქვეყნებთან.

სადაც იგი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. საქართველოს პარლამენტის სპიკერმა განმარტა, რომ მან ახსენა რუსეთი იმიტომ, რომ ადრე მოლდოვის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების წინ, ამ ქვეყანაში გაჩნდა ანალოგიური პრობლემები. კერძოდ, რუსეთის პატრიარქი კირილი და რუსი პოლიტიკოსები, უსუფაშვილის სიტყვებით, მაშინ უშუალოდ „ერეოდნენ“ პროცესებში და „აკეთებდნენ კომენტარებს“ მოლდოვიის პოლიტიკოსების შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, „თუ ვინ არის მათგან მართა-

ნობა, კანონპროექტის ოპონენტებმა გადაწყვეტილება გააგრძელონ პროტესტი ქუჩებში. მაგალითად, 30 აპრილს თბილისსა და ქუთაისში გაიმართა აქციები მოთხოვნით, შეაჩერონ პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვა. აქციაში მონაწილე სამღვდელთა წარმომადგენლები გამოვიდნენ გაფრთხილებით „დაკანონებული ცოდვის დამლუვებელი შედეგების“ შესახებ საზოგადოებისთვის, აგრეთვე „ნეგატიური შედეგების შესახებ“, პოლიტიკური თვალსაზრისით.

მათი სიტყვებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება შეძლებს საბოლოოდ „დაანგრიოს ქვეყანა“, ვინაიდან, როგორც სასულიერო პირები ამტკიცებენ, აფხაზები და ოსები – „კავკასიური ტრადიციების“ ხალხია – ისინი არასოდეს დაგვთანხმდებიან იცხოვრონ ქვეყანაში, სადაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მოქმედებს.

მმართველმა კოალიციამ, მათ შორის საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა, განაცხადეს, რომ კანონის ოპონენტები ახდენენ „მის არასწორ ინტერპრეტირებას“ და მოუწოდეს პროტესტის მომხრე ჯგუფებს, შეწყვიტონ უსაფუძვლო აჟიოტაჟი.

„საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ერთი აზრისა, რომ უმადლებმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს ეს საკანონმდებლო პაკეტი... ეს კანონი მიმართულია ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩვენ არ განვიხილავთ კრიმინალისა და ამორალური ქცევის ლეგალიზაციის საკითხს“, – განაცხადა კომენტარებში იუსტიციის მინისტრმა.

მიუხედავად ამისა, პარლამენტში 30 აპრილისთვის დანიშნული კანონპროექტის მეორე მოსმენა გადაიდო გაურკვეველი დროით. საპარლამენტო ოპოზიციამ ამტკიცებს, რომ ამის მიზეზია ეკლესიის ზემოქმედება მმართველ კოალიციაზე. მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ კანონპროექტის განხილვა გადაიდო იმის გამო, რომ ვერ შეძლეს ულად დაემუშავებინათ ზოგიერთი შესწორება.

„აკაუფაქიანი მუჟანიში“ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი არ მოსწონთ არა მხოლოდ მათ, ვინც მას „დაკანონებულ უზნეობად“ მიიჩნევს, არამედ საქართველოს ომბუდსმენსა და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მათი სიტყვებით, კანონში გათვალისწინებული დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომები „არაეფექტურია“.

ადრე მანამდე, სანამ კანონპროექტი წარდგენილი იქნებოდა პარლამენტში, იგი გადასინჯა მთავრობამ. იქიდან, კერძოდ, ამოიღეს დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საფინანსო ჯარიმებს დისკრიმინაციისთვის.

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც სათავეში ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას, ასევე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს სათანადო მექანიზმს დისკრიმინაციასთან ბრძოლისთვის. მიუხედავად ამისა, „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ მხარი დაუჭირა კანონპროექტს პირველსავე მოსმენაზე.



Voice of America

აკლიანი გზა „ცივილიზებული სამყაროსკენ“ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა მწვევადის ფონზე მიმდინარეობს

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მონიშნულ დედას და, კერძოდ, ზოგიერთი დაჯგუფება და სამღვდელთა წარმომადგენლები, მიუღებლად მიიჩნევენ დისკრიმინაციის ჩამონათვლების სიაში „სექსუალურ ორიენტაციას“ და „გენდერულ იდენტურობას“. ადრე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელიც, ყველა სოციალ-გიური გამოკითხვის თანახმად, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მეტ ნდობას იმსახურებს (90-დან 94 პროცენტამდე), მიმართა პარლამენტარებს თხოვნით, დროებით შეაჩეროს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განხილვა აზრთა არსებითი სხვადასხვაობის გამო საზოგადოებრიობაში – რათა „აჩქარებული მოქმედებებმა ნეგატიური გავლენა არ მოახდინოს საქართველოს მისწრაფებაზე ევროპისკენ“.



ილია მეორე, რომელიც, ყველა სოციალ-გიური გამოკითხვის თანახმად, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მეტ ნდობას იმსახურებს (90-დან 94 პროცენტამდე), მიმართა პარლამენტარებს თხოვნით, დროებით შეაჩეროს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განხილვა აზრთა არსებითი სხვადასხვაობის გამო საზოგადოებრიობაში – რათა „აჩქარებული მოქმედებებმა ნეგატიური გავლენა არ მოახდინოს საქართველოს მისწრაფებაზე ევროპისკენ“.

„დღეს საკითხი დგას ასე: ან ჩვენ მივიღებთ ევროპისკენ და ვალიდირებთ იმას, რომ არ უნდა მივიღვეთ ხალხს ჯოხებით, არ უნდა გამოვეყოთ ისინი სამსახურიდან, თუ არ ვიზიარებთ მათ შეხედულებას და ცხოვრების წესს, ან ჩვენ ვრჩებით რუსეთში, სადაც შეიძლება გამოვდევნოთ ქალაქებიდან ის ხალხი, ვინც არ მოსწონთ, არ შევუშვათ მაღაზიებში ისინი, ვინც არ მოგწონს, და საერთოდ, წავიდეთ და დავიპყროთ სხვისი ტერიტორია, თუ ეს ტერიტორია მოგწონს...“

როდესაც ამ კანონს განვიხილავთ, ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება იმ თვალსაზრისით და მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცივილიზებულ სამყაროშია მიღებული, რათა არ დაგვრჩეთ არაცივილიზებულ სამყაროსთან – რუსეთთან ერთად“, – განაცხადა უსუფაშვილმა, როდესაც 29 აპრილს ესაუბრებოდა ჟურნალისტებს კიშინიოვში,

ლი და კარგი პოლიტიკოსი და ვინ არ არის მართალი“.

„როდესაც მოლდოვამ მიიღო ანალოგიური კანონი, მაშინ აქაც იყო საკმაოდ სერიოზული დელეგირება. ეკლესიის წარმომადგენლებმა ანათემას გადასცეს პრაქტიკულად ყველა, ვინც ამ კანონპროექტს უჭერდა მხარს... მაგრამ კანონის მიღების შემდეგ მეორე დღესვე ყველა პრობლემა მოწესრიგდა. ამ კანონის მიღებით არც ქვეყანა დაშლილა, და არც ვინმეს გამოუყენებია ბოროტი მიზნებისთვის ახალი ნორმები, რომლებიც იქნა მიღებული“, – ხაზგასმით აღნიშნა უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მოლდოვამ, ისევე როგორც საქართველომ, ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა 28 აპრილიდან უკვე გააუქმა სავიზო რეჟიმი მოლდოვის მოქალაქეებისთვის. საქართველოს ოფიციალური პირების აზრით, უფიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირთან მოქმედებაში უნდა შევიდეს 2016 წლისთვის.

„არასწორი ინტერპრეტაცია“ მის შემდეგ, რაც კომიტეტში მოსმენაზე მიწვეულმა სამღვდელთა წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს პარლამენტის შე-

დავით იუსტიციის მინისტრებმა, განაცხადეს, რომ კანონის ოპონენტები ახდენენ „მის არასწორ ინტერპრეტირებას“ და მოუწოდეს პროტესტის მომხრე ჯგუფებს, შეწყვიტონ უსაფუძვლო აჟიოტაჟი.

„საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ერთი აზრისა, რომ უმადლებმა საკანონმდებლო ორგანომ უნდა მიიღოს ეს საკანონმდებლო პაკეტი... ეს კანონი მიმართულია ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩვენ არ განვიხილავთ კრიმინალისა და ამორალური ქცევის ლეგალიზაციის საკითხს“, – განაცხადა კომენტარებში იუსტიციის მინისტრმა.

მიუხედავად ამისა, პარლამენტში 30 აპრილისთვის დანიშნული კანონპროექტის მეორე მოსმენა გადაიდო გაურკვეველი დროით. საპარლამენტო ოპოზიციამ ამტკიცებს, რომ ამის მიზეზია ეკლესიის ზემოქმედება მმართველ კოალიციაზე. მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებს, რომ კანონპროექტის განხილვა გადაიდო იმის გამო, რომ ვერ შეძლეს ულად დაემუშავებინათ ზოგიერთი შესწორება.

„აკაუფაქიანი მუჟანიში“ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი არ მოსწონთ არა მხოლოდ მათ, ვინც მას „დაკანონებულ უზნეობად“ მიიჩნევს, არამედ საქართველოს ომბუდსმენსა და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მათი სიტყვებით, კანონში გათვალისწინებული დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომები „არაეფექტურია“.

საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეების საკითხები პირად კონტროლზე აიყვანა

გიორგი მარგველაშვილი, რომელიც მიაჩნიათ სიმბოლურ ფიგურად საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, პრემიერ ირაკლი ლარიაშვილის საპირისპიროდ, აფართოვებს საკუთარი გავლენის სფეროს.

ეს გამოვლინდა პარლამენტში „მოქალაქეობის შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის შეტანით. კანონის ახალი ვერსია პარლამენტში შეიტანა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ. მან განაცხადა, რომ ინტრიგა შესწორებებთან დაკავშირებით გადაიჭრა ბატონი მარგველაშვილის სასარგებლოდ: „ყველა პროცედურა, რაც დაკავშირებულია მოქალაქეობის მინიჭებასთან, ამიერიდან პრეზიდენტის პრეროგატივა იქნება“, – ხაზგასმით აღ-

ნიშნა მინისტრის მოადგილემ. კანონის წინა ვერსიის შესაბამისად „სახელმწიფოს მეთაურის გადასწავლად უცხოელებისთვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საჭიროებდა პრემიერის მიერ კონტრასიგნაციას“.

ჩვენს მიერ გამოკითხულმა ექსპერტებმა პოზიტიურად აღიქვეს ბატონი ბარამიძის ცნობა. მაგალითად, საქართველოს ოქმი მედი კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორის ავთანდილ დემეტრაშვილის აზრით, „კონტრასიგნაციის მოთხოვნა უპირისპირდებოდა საერთაშორისო პრაქტიკას და ქვეყნის ძირითადი კანონის სულისკვეთებას“. საპრეზიდენტო ფორმის მმართველობის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქალაქეობის საკითხებს წყვეტს სწორედ სახელმწიფოს მეთაური“, – შეგ-

ვასხენა ჩვენმა თანამოსაუბრემ. „ბატონი ბარამიძე, კანონის ვერსიის ავტორი, რომელიც იცავს პრეზიდენტის პეროგატივას საკითხებში მოქალაქეობის შესახებ, ექვემდებარება პრემიერს და არა პრეზიდენტს, აღნიშნა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი საავტენტოს მიმომხილველმა დავით ავალიშვილმა. ესე იგი, გადაწყვეტილება – შეიცვალოს კანონის თავდაპირველი პროექტი – მიღებული იქნა ქვეყნის ორი უმაღლესი ხელმძღვანელის გაუხმაურებელი დისკუსიის დროს“.

ეს არის ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც გვიჩვენებს ტენდენციას უფლებამოსილებათა გადანაწილების შესახებ პრეზიდენტ მარგველაშვილსა და პრემიერ ლარიაშვილს შორის. შეგახსენებთ, რომ, პრეზიდენტ მიხეილ

საკაშვილის ვადის გასვლის შემდეგ საქართველოში ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც რეალურ ხელისუფლებას უმკვიდრებს მთავრობის მეთაურს. ეს გახდა ირაკლი ლარიაშვილისთვის საბაზი, შეზღუდოს პრეზიდენტის უფლებამოსილება ისეთ სფეროებშიც კი, სადაც მას რეალური პოლიტიკური წონა ჰქონდა. კერძოდ, პრემიერმა ლარიაშვილმა შექმნა პირადად მის კონტროლქვეშ არსებული ეროვნული უშიშროების საბჭო, სადაც შევიდა ძალოვანი ბლოკის ყველა მინისტრი. სახელმწიფოს მეთაურთან არსებული ანალოგიური საბჭოს სხდომა არ გამართულა არცერთხელ.



დედაქალაქის ზურგზე



მისპირტიპის აზრით კონკრეტული უპირატესობა გადავიდა ხსალ, უფრო საშიშ ფაზაში როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ფაზის შედეგად შეიძლება მოხდეს უკრაინის გაყოფა, ან ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი გადავიდეს რუსეთის კონტროლქვეშ. მთავალეურთა აზრით, სეპარატისტებს განზრახული აქვთ ჩაშალონ უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც 25 მაისისთვისაა დანიშნული.

ლაგოშვილმა დასავლეთის მთავრობას, ხელი არ შეუშალონ უპირატესობას, მთლიანად არაა კრიზისის მოწესრიგებასთან დაკავშირებით

„პერუს პრეზიდენტმა თქვა, რომ ჩვენს საუბარში უკრაინულ თემაზე იყო მეტად და მეტად სასარგებლო“, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირიანტა უმალიასთან მილაპარაკების შემდეგ. უმალიასთან საუბრის შემდეგ ლაგოშვილმა თქვა, რომ „დიდი რაოდენობის უფლებასა და მის ოპონენტებს შორის შეიძლება მოწესრიგდეს ეუთოს ეგიდით“.



ევროკავშირი გააგრძელებს მუშაობას ხსალ სანდციში რუსეთის წინააღმდეგ

წყაროების მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში შენარჩუნებულია აზრთა სხვადასხვაობა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემდგომ გაფრთხილებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის ზოგ წევრს აქვს შიში რუსეთის წინააღმდეგ საფინანსო-ეკონომიკური სანქციების საფრთხესთან დაკავშირებით მათი მიღების შემთხვევაში, განაცხადა ევროკავშირის აღმოსავლეთი ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელმა.



პიბლაიში მწვერვალზე ასვლის დროს ორი რუსი ალპინისტი დაღუპა

ვიქტორ იგოლკინისა და პაველ ივანოვის გარდაცვალების საფარული მიზეზად მთის ავადმყოფობას ასახელებენ, რაც პეიჯში მალალ სიმალეზე ფანგბადის უკმარისობასთანაა დაკავშირებული. თუმცა, კატამანდუში, სადაც გაგზავნეს რუსეთელთა ცხედრები, ექიმები მოახდინეს გაკვეთის უსტი მიზეზის დასადგენად.

© ნიგნის თარო

საინტერესო ნაშრომი კონსტიტუციური ტრადიციების დასამკვიდრებლად

მეცნიერული კონსტიტუცია თავისი დროსა და ეპოქის არტეფაქტია, კანონი იმისა თუ როგორ უნდა „იციხვოს“ ქვეყანამ. მსოფლიო ვითარდება, საზოგადოება იცვლება, იცვლება შეხედულებები, მოთხოვნები, ხდება ღირებულებათა გადაფასება, შესაბამისად კონსტიტუციაში, როგორც ქვეყნის უპირველეს კანონში მიზანშეწონილი ცვლილებების შეტანა. რომელი ქვეყნის კონსტიტუცია იდეალური, ხალხის ზნეობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი? რომელმა კონსტიტუციამ გაუძლო დროთა დინებას?

„კონსტიტუციური კულტურისა და კონსტიტუციური აზროვნების განვითარებას წარუვალა მნიშვნელოვანი ენიჭება ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ასევე პიროვნებისა და მოქალაქეობრიობის ჩამოყალიბებაში“ – წერს ბატონი **გიორგი გომიანი** „საქართველოს კონსტიტუციის“ წინასიტყვაობაში. ბატონი გომიანი ნაშრომი მალაპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემილია „იურისტიკის სამყაროში“ გამოსცა.

როგორც მოგეხსენებათ კონსტიტუციური სამართლის ძირითადი დებულებების ირგვლივ ერთიანი მიდგომა ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული და დისკუსია ამ თემაზე კვლავაც გრძელდება. სწორედ ამ დისკუსიური ხაზითაა აგებული ავტორის წიგნი. წიგნი კონსტიტუციური სამართლის ძირითადი ინსტიტუტების კვლევა ჩატარებულია პარადიგმატული მეთოდით. სწორედ ეს იძლევა თავისებურ კოეფიციენტს სახელმწიფო წყობილების ძირითადი მოდელების შესაფასებლად.

ავტორმა მართლაც დიდი შრომა გასწია, რათა მოცულობითი იურიდიული მასალა თვალსაჩინოდ განეხილა და ლაკონურად გადმოეცა იგი. სწორედ ამის გამოა, რომ მეტად საინტერესოდ იკითხება და იგი არა მარტო კონსტიტუციური კვლევების სპეციალისტებისთვის, კანონმდებლებისა და იურისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაა განუთვნილი და გასაგები.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. **კონსტიტუციონალიზმი და სამართლებრივი სახელმწიფო**, რომელიც ცხრა კარს მოიცავს და ამდენივე კარისგან შედგენილი მეორე ნაწილი – **შედეგებითი ფედერალიზმი**.

საიდან იწყება კონსტიტუციური იდეის განვითარება და როდის შემოდის კონსტიტუციის კულტი. ავტორმა ამის ძიება სწორედ იქიდან დაიწყო, როდესაც „მსოფლიო წიგნი“ ბიბლია შეიქმნა. საუკუნეები დასჭირდა იმის შეგნებას ადამიანის ცნობიერებაში, რომ თავისუფალი ხარ მაშინ, როდესაც კანონები იცი და კანონებს მიჰყვები. ასე იქმნებოდა კანონთა კრებული, რომელთა ერთობლიობა დახვეწილი სახით კონსტიტუციებით გარდაიქმნებოდა.

კონსტიტუციონალიზმის პრინციპები აქტუალობას არ კარგავს საქართველოსათვის, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე სახელმწიფოს მოდელის ძიებაშია. ტერიტორიული მონყობის როგორი ფორმა გვინდა? ანდაც მმართველობის რა ფორმი გვსურს ცხოვრება? სწორედ ამის ძიებაში ვართ ახლა. სწორედ ამის გამო იქმნება საკონსტიტუციო კომისიები.

ავტორი მეტად საინტერესოდ მი-

მოხილავს კონსტიტუციური სანქციის ევოლუციას. ამერიკელი დემოკრატების პირველ წერილობით კონსტიტუციებს, აშშ-ის ფედერალურ კონსტიტუციას, ფრანგული კონსტიტუციის სისტემას ევროპაში XX საუკუნის კონსტიტუციებს და ბოლოს საერთო ეროვნული კონსტიტუციის ჩამოყალიბების პრობლემებს.

ღრმა შინაარსითაა განხილული მმართველობის მოდელები, განხილულია სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. საინტერესოაა მიმოხილული საფრანგეთის, პორტუგალიისა და ფინეთის მაგალითებზე მმართველობის შერეული, ანუ ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელები. სახელმწიფო მმართველობის სისტემები აღმოვაჩინეთ ევროპის 10 ქვეყნის მაგალითზე. წიგნის მეორე ნაწილი, რომელიც ფედერალიზმის კონცეფციას მოიცავს XVIII საუკუნის ეპოქიდან იწყება და ვრცელად მიმოხილავს ფედერალურ სახელმწიფოთა წყობას. სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ბევრ საყურადღებო მოსაზრებებსაც ვხვდებით, რომელსაც ავტორი, როგორც შემოთავაზებით, ლაკონურად და გასაგებად გადმოგვცემს.

ფედერალიზმის მომავლის განხილვისას ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს საქართველოს ტრადიციული განვითარების გეზზე, ეთნიკური უმცირესობათა უფლებების, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობის შესახებ.

გაპოლიტიზირებულ საქართველოში, ბატონ გომიანი გოგიაშვილის ნაშრომი „შედეგებითი კონსტიტუციური სა-



მართალი“ მეტად დიდი შენაძენია და პოლიტიკით დაინტერესებულთა და არა მარტო მათი სამაგიდო წიგნია. წიგნის სამეცნიერო რედაქტორი გახლავთ პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **ზაურ ჯინჯოლაძე**.


და ბოლოს ამგვარი მეთოდით შექმნილი წიგნი სასარგებლო უნდა იყოს თქმის შესწავლისათვის, მან ხელი უნდა შეუწყოს ანალიტიკური აზროვნების გამოუმუშავებასა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის ძირითადი საკითხების ათვისებას. წიგნი პირველი მცდელობაა ამ მხრივ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ თემას დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში მიძღვნილი აქვს კლასიკური შრომები, ჩვენში კი კონსტიტუციური ლიტერატურის სიმწირეა. სწორედ ამიტომ ავტორის სურვილია, გაითვალისწინოს კრიტიკული მოსაზრებები და შენიშვნები.

ამაშუა ვაშაიძე

© პატივგება

ოქროს სნივებით დაგვიწინაბული ორდენი აპოკალიპსის მზის ქვეყნიდან

მეცნიერული ღონისძიებების მხარდაჭერის ფარგლებში იაპონური ფილმების ფესტივალის ჩატარება თბილისის კინოს სახლში და ტელევიზიით, იაპონური კაბუკის თეატრის გასტროლები თბილისში, თბილისში გახსნილი იაპონური ენის შემსწავლელი პირველი კურსები, ქართული თეატრების, ანსამბლების წარდგინება და კონცერტები, ასევე სხვა უამრავი კულტურული ღონისძიებების გამართვა იაპონიაში, საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში (კერძოდ ბათუმსა და თელავში) დაფუძნებული საქართველო-იაპონიის ურთიერთობების ასოციაციის ფილიალების და უამრავი რამ ამ ორი დიდი კულტურის ქვეყნების დასაახლოებლად. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და ინიციატორი გახლავთ ჩვენი თანამემამულე, ამჟამად საქართველო-იაპონიის ურთიერთობების ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი **პარლო მისი**.



იაპონიით დაინტერესება ბატონი პარლოს ცხოვრებაში 1963 წლიდან იწყება, როდესაც იგი საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული და მეგობრული ურთიერთობების საზოგადოებაში მოღვაწეობდა, სადაც ფუნქციონირებდა საქართველოს იაპონიასთან მეგობრობის განყოფილება. 1991 წლიდან საქართველო-იაპონიის ურთიერთობების ასოციაცია დაარსდა და იმავე დღიდან მოყოლებული დღემდე ბატონი პარლო მისი პრეზიდენტი.

ახლა საზოგადოებას შევხსენოთ, თუ როგორ აფასებენ ჩვენი მეგობრები ამ დიდ ღვაწლს, რასაც ქვეყნებს შორის მეგობრობა და ხალხთა დაახლოება ჰქვია. იაპონიის მთავრობა იაპონიის იმპერატორის ყოველწლიურ საგაზაფხულო ჯილდოს გადასცემს 55 უცხოელს, რომელთაც ეს მისია იკისრეს და პირნათლად უძღვებიან ამ კეთილშობილურ საქმეს. ამ რჩეულთა შორის გახლავთ ჩვენი თანამემამულე ბატონი პარლო ქველაძეც.

იგი 29 აპრილს დაჯილდოვდა **ოქროს სნივებითა და ლენით** დამსჯენილი ამომავალი მზის ორდენით ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

ვულოცავთ ბატონ პარლოს ამ საპატიო ჯილდოს და იმედია მისი წვლილი ამ ორი ქვეყნის დაახლოება-დამეგობრების საქმეში კვლავაც ღირსეული იქნება.

ავთანდილ ბაძაური

© ალიან-ჩალიანი

საქართველოს მოსახლეობა 4,49 მილიონს შეადგენს

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა. საქართველოს მოსახლეობა 2014 წლის პირველი იანვრის მონაცემებით 4,49 მილიონს შეადგენს, შარშან ამავე პერიოდში კი, მოსახლეობის რაოდენობა 4,483 მილიონი იყო. მოსახლეობის 53,7% ქალაქში ცხოვრობს, 46,3% - სოფელში; 47,7% მამაკაცია, 52,3% კი – ქალი.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 5-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში 0,2%-ით მატება აღინიშნება, რაც გამოწვეულია 2006 წლიდან ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის ზრდით. 2012 წელთან შედარებით, 10-24 წლის ასაკობრივი ჯგუფში აღინიშნება 0,7%-იანი კლება, მათგან 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფმა ყველაზე დიდი კლება (0,3 პროცენტი) განიცადა, რაზეც ზეგავლენა მოახდინა ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მიგრაციული პროცესებში აქტიურად მონაწილეობამ.

2013 წელს ემიგრანტების რაოდენობამ 95 064 შეადგინდა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 5%-ით აღემატება, იმიგრანტების რაოდენობამ კი 92 458, რაც წინა წელთან შედარებით 25 პროცენტით მეტია. მიგრაციული სალომე (სხვაობა ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას შორის) 2013 წელს უარყოფითი მაჩვენებელი – 2 606 ერთეული შეადგინა.

გადაზიდვები კომპანიები „საფოსტო კავშირის“ კანონპროექტის წინააღმდეგ

გადაზიდვებზე კომპანიებმა „საფოსტო კავშირის შესახებ“ ახალი კანონპროექტი ეკონომიკის სამინისტროსთან აქტიურად გააპროტესტეს.

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, ცვლილებების თანახმად პრივილეგირებულ მდგომარეობაში მხოლოდ „საქართველოს ფოსტა“ იქნება, რომელიც ბაზრის მონოპოლისტი გახდება, სხვა ოპერატორ კომპანიებს კი დამოუკიდებლად არ შეეძლებათ საქმიანობა და ისინი „საქართველოს ფოსტასთან“ მიმზღულები იქნებიან.

გადაზიდვები კომპანიების წარმომადგენელთა თქმით, თუკი კანონპროექტის ამჟამინდელ ვერსიას მიიღებენ, მხოლოდ „საქართველოს ფოსტა“ შეძლებს 30 კილოგრამამდე წონის საერთაშორისო ამანათების ექსპრესიული როგორც მიღებას, ისე გაგზავნას, გადაზიდვას.

– ჩვენ უნივერსალური საფოსტო მომსახურების წინააღმდეგები არ ვართ, რა თქმა უნდა, ეს უნდა არსებობდეს, მაგრამ ამ კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში ჩვენ უფლება არ გვქონება 30 კილოგრამამდე ნებისმიერი ტვირთის, დოკუმენტის, თუ ამანათის გაგზავნა, შემოტანა და ა.შ., – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში კი, როგორც ისინი აცხადებენ, არ არის გამოორიცხული ორმოცამდე გადაზიდვით კომპანიას ბაზრის დატოვება მოუწიოს.

მათივე ინფორმაციით, კანონპროექტის თანახმად, ტვირთისა და დოკუმენტების, ასევე ფულადი გზავნილების გადაზიდვას მხოლოდ ის კომპანიები შეეძლებენ, რომლებიც ამ სექტორის მარეგულირებელისგან ავტორიზაციას მიიღებენ.

გადაზიდვები კომპანიები კანონპროექტის მიღების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ.

ინტერპრესი

ამრსაქმეტივა

ლეონ ჟიჟიანი: ძიუდოს ინფრასტრუქტურის პრობლემა მოკლე დროში მოგვარდება



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლეონ ჟიჟიანი ძიუდოს მათხროვნას გამოცხადებდა, რომ მისი სახარჯიშო დარბაზის გამოყოფას ითხოვენ და აღნიშნა, რომ ამ კუთხით მუშაობა უკვე მიმდინარეობს.

მას შტაბით, სანაკრებო დარბაზი კი ახლა რემონტის პროცესშია, რომელზეც მერია მუშაობს და რამდენიმე ხანში ისიც მწყობრში იქნება. ასე რომ, ჩვენ ვფიქრობთ მთლიანად ძიუდოს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რაც მოკლე დროში მოგვარდება, - განმარტა მინისტრი.

კობა კობახიძე

სტუდარი



AVIVA STADIUM-ის აბტორი სპარტიშელოში

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდიამ რაგბის კავშირის პრეზიდენტს გია ნიჟარაძეს და ირლანდიელ ინჟინერს მაიკლ გრინს უმასპინძლა. მაიკლ გრინის დაპროექტებულია დუბლინის Aviva Stadium-ი, რომელიც 2010 წლის მაისში ოფიციალურად გაიხსნა და 51 700 მაყურებელს იტევს.

ლო რაგბის ეროვნული ნაკრებისთვის სტადიონის აშენებას გადაწყვეტს, მაიკლ გრინისგან რჩევებს და მითითებებს მიიღებს - როგორ უნდა შესრულდეს მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, რა ტევადობის იქნება სტადიონი, რა ხარჯების განევა მოუწევს რაგბის კავშირს და სახელმწიფოს...

ბაჟან დოლიძე

გაგალითის ქალა

„როლან ბაროს“ უიმბლდონმაჰ მიგაჰა

საფრანგეთის ლია პირველობის წლეფანდელ გათამაშებზე ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდი რომ გაზარდეს, ადრე გაუწყეთ. „როლან ბაროს“ არც უიმბლდონი „ჩამორჩა“ - ცნობილი გახდა, რომ წლის მესამე სადიდსლელო ტურნირის საპრიზო ოდენობა ამჟერად 25 მილიონი გირვანქა იქნება, რაც შარშანდელოთან შედარებით 10 პროცენტით მეტია. ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულები მილიონ 760000 გირვანქას მიიღებენ, ეს კი 600000 დოლარით მეტია იმასთან შედარებით, რასაც საფრანგეთის ლია პირველობის ტრიუმფატორებს დაუსვამენ საბანკო ანგარიშზე.



საგრძობლად გაზარდათ სა-მონანილეო თანხა იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც უიმბლდონზე სანყის ეტაპებზე დამარცხდებიან. მეოთხე სტადიამდე არმისული მოთამაშეები წლეულს 12.5 პროცენტით მეტ თანხას მიიღებენ, ვიდრე შარშან. უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორთა განცხადებით, მატჩები 17 კორტზე ჩატარდება. ამასთან, შესვედრები არ გაიმართება რიგით მე-14 და მე-15 კორტებზე. ეს საჩოგბურთო კლუბის სივრცის ოპტიმიზაციის მიზნით გაკეთდება. უიმბლდონზე აკრედიტებულ ფოტოკორესპონდენტებს, ბურთის მიმწოდებელ ბიჭებსა და გოგონებს მეტი საშოქმელო არეალი შეექმნებათ. გაიხსნება მედიარესტორანი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მოემსახურება დანაყრებისა და დასვენების მსურველთ.

როსტომ რაჭველიშვილი

კალათბურთი

კლე ოფეი ორდლიანი შესვენება გამოცხადდა

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატის პლეი ოფის მეოთხედფინალური სერიის მეორე რაუნდი „დინამო“ - „ოლიმპის“ მატჩით დასრულდა. ფავორიტად „დინამო“ ითვლებოდა, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულია, ხოლო „ოლიმპი“ 9 გუნდს შორის მე-8 ადგილი დაიკავა. როგორც მოსალოდნელი იყო, „დინამომ“ დიდი ანგარიშით 89:49 შეძლო მეტოქის დამარცხება და ნახევარფინალამდე ერთი მოგებალა აშორებს. ამ შესვედრაში ყველაზე კარგი შედეგი „დინამოს“ ამერიკელმა ლეგიონერმა, მძიმე ფორვარდმა ქვენ კარტერმა აჩვენა, რომელმაც საკუთარ დაბადების დღეზე 21 ქულითა და 15 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. „ოლიმპის“ შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანები მიხეილ ჩიტაშვილი, ნოდარ თენიშვილი და რევაზ ათანელიშვილი იყვნენ, რომლებმაც 10-10 ქული დააგროვეს.



პარალელურად ქუთაისში ჩატარდა მეოთხედფინალში მოასპარევე კიდევ ერთი წყვილის - ადგილობრივი „ქუთაისისა“ და „სოსუმის“ შესვედრა. პირველ ბრძოლაში ნაგების შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს რევეანშის აღება, 81:70 დაამარცხეს მეტოქე და საერთო ანგარიში გაათანაბრეს - 1:1. ამრიგად, პლეი ოფის მეოთხედფინალურ სერიაში ორდლიანი შესვენება გამოცხადდა და იგი 3 მაისს განახლდება. ის გუნდები, რომლებიც ვერ შეძლებენ მესამე გამარჯვების მოპოვებას, ასპარეზობას გააგრძელებენ ნახევარფინალური საბურთის მოსაპოვებლად. შეგახსენებთ მეოთხედ-

ფინალში გასული გუნდების დღევანდელ მდგომარეობას: „დინამო“ - „ოლიმპი“ 2:0, „არმია“ - „რუსთავი“ 2:0, „შსს აკადემია“ - „ბათუმი-რსუ“ 0:2, „ქუთაისი-2010“ - „სოსუმი“ 1:1. პირველად დასახელებული გუნდები ხვალ სტუმრად ითამაშებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

არის ასეთი ქალაქი!

პირველად ჩემპიონთა ლიგის ნახევარსაყუროვან ბიოგრაფიაში ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს ერთი ქალაქის წარმომადგენლები გაითამაშებენ. დიას, ბედნიერია მადრიდელ გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმადა, რომელიც 24 მაისს მეზობელ ლისაბონში „რეალის“ ან „ატლეტიკოს“ ტრიუმფის თანამონაწილე გახდება. სხვათა შორის, ეს მესუთე შემთხვევაა, როცა სატიტულო ბრძოლაში ერთი ქვეყნის გუნდები შეებმებიან ერთმანეთს. ახლა კი, მოდით, დევტო სიმონეს შეგირდებს შევანიოთ ორიოდ სიტყვა.

გატანილი ბურთით დააგვირგვინა. თითქოს სტუმართა თავზე შავი ღრუბლები მოიქურფა, მაგრამ ისინი ზედ შესვენების წინ არანაკლებ შთამბეჭდავმა ტიაგო-ხუანფრან-ადრიანის კლასიკურმა ჩხველტამ გაფანტა - 1:1. ასეთმა მოულოდნელმა ფსიქოლოგიურმა დარტყმამ უოზე მაურინიუს ტაქტიკურ სქემებში გვირავიანი კორექტივები შეიტანა. პორტუგალიელი სპეციალისტი იძულებული გახდა მეორე ნახევარი რისკიანი ცვლილებებითა და აქტიური თამაშით დაეწყო, რაც საბედისწერო აღმოჩნდა - მასპინძელთა მოშეშელებული ზურგი იმ ოკენანდე იქცა, სადაც პრიმერადევიზონის ლიდერმა თავისი იგრძნო, როგორც თევზმა წყალში და დაშამათა კიდევ მრისხანე მეტოქე.

„ჩელსი“ - „ატლეტიკო“ 1:3 (1:1) (პირველი მატჩი - 0:0) გოლები: ტორესი; ადრიანი, კოშტა (პენალტით), თურანი.

ასე რომ, რამდენიმე კვირაც და შევიტყობთ - „სამეფო კლუბი“ აღზევდება მეთედ თუ „ატლეტიკო“ შეემატება ელიტას - შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელის 40 წლისწინანდელი ფინალი წარუმატებლად დასრულდა.

გიორგი შოთაძე

ფული, გაგია, ფული...



„ბაიერნა“ ჩემპიონთა ლიგაში 60,9 მილიონი ევრო გამოიშუაჰა

მიუნხენის „ბაიერნა“, რომელიც უეფას ჩემპიონთა ლიგას 1/2-ფინალში გამოეთეშა, მიმდინარე სეზონში ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში 60,9 მილიონი ევრო გამოიმუშავა. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 5 მილიონი ევროთი მეტია, ვიდრე შარშან გამოიმუშავებული, როდესაც მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგა მოიგეს. „ბაიერნმა“ ბონუსის სახით უეფასგან 25,9 მილიონი ევრო მიიღო, ხოლო 35 მილიონი ევრო კლუბის სალაროში ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩებზე ბილეთების რეალიზაციისგან შევიდა. შეგახსენებთ, რომ 1/2-ფინალში გერმანელებმა ორრაუნდიანი ბრძოლა მადრიდის „რეალთან“ წააგეს (0:1, 0:4).

მანუჩარ ბიორბაძე

ინტერნეტიდან

კლოდ მაკელელუს მიუსგენარი ცოლი ვეტიარანი ფრანგი ფეხბურთელის კლოდ მაკელელუს ცოლი ნოემი ლენორი თავის დროზე ცნოვების ათას ბარიერზეა გადაამსტარი და იყო პერიოდი, სანამ ფრანგ ფეხბურთელს შესვედროდა, ეროტიკულ ფილმებშიც კი მიუღია მონაწილეობა. მოდელიობაზე და ფოტოკამერის წინ მონაწილეობაზე საუბარშიც კი არ ღირს. ნოემი ლენორი, როგორც ჩანს, ვერა და ვერ ივინყებს ძველსა და ქარიშხლიან დროებს და როგორც ფრანგული მედია იუნყება, მაკელე-

ლეს ცოლს ეროტიკული ფილმების სტუდია გაუხსნია, სადაც კარი ყველა ლამაზი ასულისათვის ლიაა. თუკი სხვისთვის კლოდ მაკელელეს მეუღლის ეს საქციელი შეიძლება მიუღებელი იყოს, ქალბატონი ნოემისთვის ჩვეულებრივი საქმიანობის ნაწილია და ეს ქალი სულაც არ უსმენს მოკრიტკეთა შეგონებებს. თან, როგორც ჩანს, მონდომებითა და გულთ სწორედ იმ საქმეს აკეთებს, რაც ყველაზე კარგად იცის და გამოხდის... ნატა ნიკლაძე



სულთანა

ავთანდილ გოროზია

საქართველოს ვეტერან მეგზვევთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული და გამორჩეული წევრი ავთანდილ გაბრატის ძე გოროზია, საერთაშორისო მნიშვნელობის საპროექტო ინსტიტუტის „თბილისელები“ ყოფილი მთავარი ინჟინერი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ავთანდილ გოროზია დაიბადა 1927 წელს მარტვილის რაიონში, პედაგოგთა ოჯახში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი საავტომობილო გზების სპეციალობით. 1949 წლიდან, 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე მუშაობდა საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის მსოფლიოში ცნობილი საავტომობილო გზების საპროექტო ორგანიზაციაში „სოიუზდორპროექტი“, შემდგომში – „თბილისელები“.



მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დაპროექტებულია მრავალი საავტომობილო გზა და ავტომაგისტრალი ურთულეს ბუნებრივ პირობებში: კავკასიაში; შუა აზიაში; პამირზე; ჰიმალაიზე; ჩრდილოეთ აფრიკაში და მადაგასკარში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი ავღანეთის

საგზაო ქსელის დაპროექტებაში 1959-1989 წლების პერიოდში. 17 წლის განმავლობაში მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დაპროექტდა კუშკა-გერათ-ყანდაარის 500-კილომეტრიანი საავტომობილო მაგისტრალი. მრავალი წელი იყო საბჭოთა საგზაო ინჟინრების კოლექტივის ხელმძღვანელი ავღანეთში.

1975-85 წ.წ. ხელმძღვანელობდა შავი ზღვისპირეთის საგზაო ქსელის განვითარების საპროექტო სამუშაოებს. მან დააპროექტა ადლერ-ნოვოროსიის საავტომობილო მაგისტრალი და მიმდებარე გზები – ადლერ-„კრასნაია პოლიანა“, მაიკოპ-ადლერი და სხვა. ადლერ-ხოსტა-კუდებ-სტას ურთულესი მონაკვეთის დაპროექტებაში განეული ღვაწლისთვის მას მიენიჭა სსრკ-ს სახელმწიფო პრემია. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საავტომობილო გზების პროფილით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

წავიდა ჩვენთან უდიდესი პროფესიონალი, ღვაწლმოსილი მუშაკი, შესანიშნავი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რომლის სსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

საპარამელოს საამბოში
გვამის ღვაწლმოსილი
საპარამელოს მამამხატველი სარგოლაძე
საპარამელოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საგზაო დეპარტამენტი.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ვაჟა აბაკელია, რაულ ჩილაჩავა, გოგი ქავთარაძე, ნაპოლეონ ქარქაშიძე, დიმა ჯაიანი, გურამ გუნავა, გრიშა შონია, გივი აბდუშელიშვილი, ვაჟა თორდია, ბადრი ქუთათელაძე, ჯემალ კვიციანი, ნუგზარ იზორია, ოთარ ჭითანავა დიდი გულისტიკივლით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე პოეტი და მთარგმნელი, დიდი პოეტური ოჯახის ღირსეული წევრი, კოლორიტული პიროვნება და ერთგული მეგობარი

რენე კალანდია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მურად ანჯაფარიძე ოჯახით ღრმა გულისტიკივლით გამოხატავს და სამძიმარს უცხადებს გენო და ზაურ კალანდიებს ძმის, შესანიშნავი პოეტის, ღირსეული მამულიშვილის

რენე კალანდიას
გარდაცვალების გამო.

ვიტალი ნაზარაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდიაძე, ჯამბულ წულაია, სპარტაკ ხუნწელია, პეტრე ბერაია სამძიმარს უცხადებენ გენო და ზაურ კალანდიებს ძმის, ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის

რენე კალანდიას
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუნჯება გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს

შოთა ქისტაური
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებსა და კოლეგებს.

ქუჩუკი სოსია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნჯება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, გამორჩეული ქართველი

შოთა ქისტაური
და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ტელეკომუნიკაციის კომპანიების „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნჯებიან, რომ კომპანიის ბუღალტერს ლიკა იაშვილს გარდაცვალება დედა

მადლენა იაშვილი
და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მანანა დანგაძე, ვაჟა აზარაშვილი ღრმა მწუხარებით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი

ჯემალ მელქაძე
და გულწრფელ თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

რამდენიმე თეატრის პროვინული თეატრის სტატუსი მიენიჭება

თეატრების სახეობათა შორის „ეროვნული თეატრის“ შემოღებას „პროფესიული თეატრების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს. პროექტი დეპუტატებმა ზაზა პაპუაშვილმა და გედევან ფოფხაძემ მოამზადეს. მათი განმარტებით, ეროვნული პროფესიული თეატრის სტატუსი იმ თეატრებს უნდა მიენიჭოს, რომელთაც საქართველოში თეატრალური ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს და სადაც ქართული თეატრის საფუძვლები ყალიბდებოდა. ამ სტატუსს თეატრებს მთავრობა მიანიჭებს.

განცხადება

მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ამხანაგობა „პანკისის ქ.№20“-ს მიმართ. ამხანაგობის წევრები დაგვიკავშირდით ტ. 571 44 98 98.

განცხადება

2014 წლის 21 მაისს, დღის 13.30 სთ. შედგება სს. თ. ცეცხლადის სახ. №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის 2013 წლის საანგარიშო კრება.

რეკლამა გ. ანკლიანი ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ტესტი

რამდენად ორბანიზებული პიროვნება ბრძანდებით?

გაიარათ ტესტი და მიიღებთ ამ შეკითხვაზე პასუხს

- 1. გახსოვთ, ამწუთას სად არის თქვენი პასპორტი? ა) დიახ; ბ) არა.
- 2. ყოველწინა თქვენს სახლში აქვს ზუსტად, მცაცრად განსაზღვრული ადგილი? ა) დიახ; ბ) არა.
- 3. თუ ხდებდა ხოლმე, რომ არ იცით, რა რიცხვია დღეს ან კვირის რა დღეა? ა) არა; ბ) დიახ.
- 4. თუ ხდებდა ხოლმე, რომ ავტობუსით, ელექტრომობილით ან მეტროთი მგზავრობის დროს გამოგჩვენებოდა თქვენი სადგური ან გაჩერება? ა) არა; ბ) დიახ.
- 5. ჩვეულებრივად, ბოლომდე მიგყავთ ხოლმე წამოწმებული საქმე? ა) დიახ; ბ) არა.
- 6. თქვენს ბინაში ყოველთვის სისუფთავე და წესრიგია? ა) დიახ; ბ) არა.
- 7. როგორც წესი, თუ ადგენთ ხოლმე იმის სიას, რა უნდა იყიდოთ მაღაზიაში წასვლის წინ? ა) დიახ; ბ) არა.
- 8. ყოველთვის დროულად იხდით ანგარიშების მიხედვით? ა) დიახ; ბ) არა.
- 9. თქვენზე უფრო მეტად მოქმედებს ლოგიკური დასკვნები, და არა ემოციური სიტყვები? ა) დიახ; ბ) არა.
- 10. ადამიანებთან მუშაობა უფრო მოგწონთ თუ, მაგალითად, მთელი დღე კომპიუტერთან ყოფნა? ა) არა; ბ) დიახ.
- 11. მოგწონთ მოულოდნელობანი? ა) არა; ბ) დიახ.
- 12. გიყვართ ოცნებებისთვის თავის მიცემა? ა) არა; ბ) დიახ.
- 13. თქვენ ჩვეულებრივად ადგენთ გემებს მომავალი კვირისთვის? ა) დიახ; ბ) არა.
- 14. თქვენ მეტად გიზიდავთ სამუშაო, რომელსაც მკვეთრად განსაზღვრული ჩარჩოები აქვს? ა) დიახ; ბ) არა.
- 15. ჩვეულებრივად საქმიან და მეგობრულ შეხვედრებზე დაუგვიანებლად მიდისართ? ა) დიახ; ბ) არა.

ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერათ 1 ქულა. პასუხზე „ბ“ - 0 ქულა. შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

0-5 ქულა. არ შეიძლება თქვენ ორგანიზებული ადამიანი გეწოდოთ. ზოგჯერ ეს ზიანს გაყენებთ კარიერაში. მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ ამის გამო არ იტანჯებოდნენ სხვა ადამიანები, განსაკუთრებით ახლობლები.

6-10 ქულა. ყოველთვის ორგანიზებული ადამიანი არ ბრძანდებით. თქვენ გაქვთ ბევრი იდეა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მოწყვეტილია რეალობას. ეცადეთ, ნაკლებად იფრინოთ ღრუბლებში და იყოთ მეტი პასუხისმგებლობისა.

11-15 ქულა. თქვენ საკმაოდ პუნქტუალური ადამიანი ბრძანდებით და მთლიანად შეგიძლიათ მოაწყოთ თქვენი ცხოვრება.




© ჩვენი კარგადიანი

ცნობილია, რომ ღვიძლი საკვანძო როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლაში და რომ მასში ხდება ყველა მანერული რამის ნეიტრალიზება. მაგრამ თუ იცით, რა არის ამ ორგანოსთვის სასარგებლო და რა არა?

ღვიძლი — ეს არაა მთავარი
— **ღარ ვხვდებით ვარ, თითქმის ყველამ იცის, რომ ღვიძლისთვის ყველაზე საზიანო ალკოჰოლია, — ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ღვიძლის დაავადებათა სპეციალისტი, პროფესორი ალექსეი ბუვეეროვი. — ეს სწორია, ეთილის სპირტი მეტად საზიანოა მისთვის.**
მაგრამ, სტატისტიკის თვალსაზრისით, უფრო მასობრივია ღვიძლის ეგრეთ წოდებული არალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადება — სერიოზული დაავადება, რომლის დროსაც ღვიძლის უჯრედებში

განეკუთვნება არა მხოლოდ ძეხვეული, არამედ პრაქტიკულად ყველა გადამამუშავებელი ხორცის პროდუქტი და ნახევარფაბრიკატები.

ექსპერტებმა მხოლოდ დაჭრილი მჭლე ხორცი (იგი ღვიძლისთვის სასარგებლოა). შაქრებით კი მდიდარია არა მხოლოდ ტკბილეული, მწარმოებლები მათ უმატებენ ლამის ყველა პროდუქტს, სასმელსა და სოუსს. ისინი არაა მხოლოდ ყველაზე უბრალო პროდუქტები. რძის პროდუქტებიდან ესაა ჩვეულებრივი კეფირი, მანონი, ხაჭო, არაყანი. თუ პროდუქტს აქვს გემოვნებით დანამატები, მათში აუცილებლად საკმაოდ დიდი ოდენობით შაქარი. ეს შეიძლება ითქვას „მზა ფაფების“ შესახებაც, რომლებსაც ხშირად უმატებენ შაქარს. უმჯობესია, შევარჩიოთ პროდუქტები,



დაავადების მძიმე მდგომარეობის რისკს — სიყვილით, ღვიძლის უკმარისობით და დიდი სიკვდილიანობითაც.

მართალია, მთავარ როლს ღვიძლზე ნეგატიურ გავლენაში ალკოჰოლის ოდენობა ასრულებს, სხვადასხვა დოზების დროს უმჯობესია ვარჩიოთ ნატურალური მშრალი ღვინო. მაგარი სასმელები, ლუდი და მაგარი ღვინო უფრო ცუდია. ჩემი დაკვირვებით, თუმცა, სტატისტიკა ამას ჯერ არ ადასტურებს, სუსტი ალკოჰოლიანი კოქტეილის მოყვარულებს ციროზი უფითარდებათ უფრო სწრაფად.

შეიძლება ეს დაკვირვებული იყოს მასში შაქრისა და ხელოვნური საკვების დანამატების დიდ შემცველობასთან. როგორც ჩანს, საღებარეებს, კონსერვანტებსა და სხვა დანამატებს პროდუქტებში ღვიძლისთვის სარგებელი არ მოაქვთ.

არის აგრეთვე უსაფრთხო სასმელების ჯგუფი — მათ შორისაა ბალახის ჩაი, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ჩვენ კლინიკაში პერიოდულად მოდიან პაციენტები მძიმე ჰეპატიტებით, რომლებიც ჩნდება მას შემდეგ, რაც მათ გადამამუშავებული ნალატი ბალახები. ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ნაკრებს უმატებდნენ ქრისტესისხლას.

გვხვდებიან, აგრეთვე, ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ იტანენ ზოგიერთ ბალახს, რაც ბევრისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს დაკვირვებულია რომელიმე კონკრეტული ფერმენტის უკმარისობასთან, რომელიც აუცილებელია იმ აქტიური ნივთიერებების გასაუვნებლად, რასაც ესა თუ ის სამკურნალო მცენარე შეიცავს.

ჩინეთსა და ინდოეთში, სადაც ძალიან ძლიერია სახალხო მედიცინის ტრადიციები, ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირად გვხვდება. ღვიძლის უმძიმესი დაზიანების ძირითადი მიზეზი იქ არის სწორედ რიტოთერაპია. ხშირად ვყოფილვარ ჩინეთში სამეცნიერო მივლინებებით და ადგილობრივი კოლეგები მიამბობდნენ ხოლმე, რომ ჩვეულებრივად ეს ხდება ლარბ ადამიანთა წრეში, რომლებსაც არ შეუძლიათ გადაიხადონ წამლით მკურნალობის ფული. ისინი, ვისაც აქვთ საკმარისი სახსრები, უპირატესობას ანიჭებენ არა ფიტოთერაპიას, არამედ თანამედროვე პრეპარატებს.

პნევმონია სიფრავსა და ფაქტები

პნევმონია — ესაა ფილტვების მწვავე ინფექციური ანთება, რომელსაც სუნთქვის დარღვევასთან და ქსოვილების უნებართვო მოზარდების გაუარესებასთან მივყავართ.

პნევმონია შეიძლება ვირუსებმა, ბაქტერიებმა და სოკოებმა გამოიწვიონ.

ცალკე გამოყოფენ საავადმყოფოს შიდა პნევმონიებს, მათ საპოსპიტალოსაც უწოდებენ. ასეთი პნევმონიების გამოწვევებია — სტაფილოკოკები, კლებსილები, ლურჯლობადი ჩხირები, პროტეი, ან აუტოფლორა (მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომელიც თავად ავადმყოფის ორგანიზმშია).

საავადმყოფოს შიდა გამოწვევები ჩვეულებრივად მყარია ანტიბიოტიკებისადმი და ცუდად იკურნება.

25-50 პროცენტი — ასეთია საავადმყოფოს შიდა პნევმონიისგან სიკვდილის სიხშირე.

წლამდე ასაკის 1,4 მილიონი ბავშვი იღუპება ყოველწლიურად მსოფლიოში პნევმონიისგან. ეს უფრო მეტია, ვიდრე შიდსისგან, მალარიისგან და წითელასაგან ერთად აღებული.

ავადმყოფთა კიდევ ერთი ჯგუფი, ვისთანაც მძიმედ მიმდინარეობს პნევმონია, ესაა ავადმყოფები ისეთი ქრონიკული დაავადებებით, როგორებიცაა შაქრის დიაბეტი, ღვიძლის ციროზი; ადამიანები, ვინც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს, და მწველები, აგრეთვე იმუნური დეფიციტით დაავადებულები და პაციენტები, რომლებიც ქიმიოთერაპიას ღებულობდნენ.

წვერ უფრო ხშირად არიან დაავადებული პნევმონიით 65 და მეტი ასაკის ადამიანები, ვიდრე ახალგაზრდები. და მათთან ავადმყოფობა ჩვეულებრივად მძიმედ მიმდინარეობს.



ყოველი წლის 12 ნოემბერს აღინიშნება პნევმონიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე.


ბავშვების პნევმონიისგან გარდაცვალების 600 ათასი შემთხვევა ყოველწლიურად შეიძლება თავიდან აგვაცილოს მხოლოდ სწორმა მკურნალობამ.

დაახლოებით 200 ანტიბაქტერიული პრეპარატი, რომლებიც 600-ზე მეტი საფირმო სახელწოდებით იყიდება, არის დღეს ექიმების განკარგულებაში პნევმონიის სამკურნალოდ.

მაგრამ მსოფლიოში პნევმონიით დაავადებული ბავშვების მხოლოდ 30 პროცენტი ღებულობს მათთვის აუცილებელ ანტიბიოტიკებს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

© კალრი



დარტყმა ღვიძლზე
შაქარი და სხიმი მისთვის ალკოჰოლზე უფრო სასიფთოა

გროვდება ბევრი ცხიმი. უწინარეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია კვების ზოგიერთ თავისებურებებთან. თურმე, ღვიძლისთვის ყველაზე მანერ ყველაზე ჩვეულებრივი პროდუქტებია — ცხოველური ცხიმების და ადვილად ასათვისებელი შაქრების — სიქარბე ყოფილა. ეს უკანასკნელი უფრო საზიანოც ყოფილა, ვიდრე თავად ცხიმები. ყველა შაქრიდან ყველაზე ცუდად ფრუქტოზა ითვლება. იგი ხშირად ხელს უწყობს ღვიძლის ანთებასაც, ართულებს ღვიძლის არალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადების მიმდინარეობასაც.

გასაოცარია, მაგრამ ცხიმები და შაქრები ისეთსავე ცვლილებებს იწვევენ, როგორც სპორტიანი სასმელები. დაავადებათა განვითარების მექანიზმი სხვადასხვაგვარია, გამოვლინება კი ერთნაირი. დროთა განმავლობაში ორივე დაავადებას ზოგიერთ ადამიანში მივყავართ ციროზთან, ზოგჯერ კი ღვიძლის კიბოსთანაც. ამას გარდა, ნივთიერებათა ცვლაში ხდება იმდენად სერიოზული ცვლილება, რომ ისინი შაქრის დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებებით, მათ შორის ინფარქტებითა და ინსულტებით მთავრდება.

რამდენიმე წლის წინათ შევდეთში მოაწვევს ექსპერიმენტი, რომელმაც აჩვენა: ღვიძლში ზედმეტი ცხიმის დაგროვებისთვის ბევრისთვის საკმარისია, რომ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში იკვებებოდნენ ფასტფუდით. ასეთივე შედეგი გვექნება ნებისმიერი ცხიმიანი და ტკბილი საკვებისგან. სამწუხაროდ, კვების ასეთი სტილი ტიპურია ძალიან ბევრი ადამიანისთვის, თანამედროვე პროდუქტების უდიდესი ოდენობა კი შეიცავს სწორედ ფარული ცხიმებისა და ნახშირწყლების დიდ ოდენობას. მათ

რომლებშიც ნახშირწყლები შაქრამდე ნელა იხლინება. ფაფებიდან ესაა წინიბურა, შერია, ქერის ბურღული, ფტვი, მაგრამ არა მანანის ბურღული ან ბრინჯი. მაკარონები უფრო სასარგებლოა ფქვილის მაგარი ხარისხებიდან და არა მსუბუქი პურის საცხობებიდან. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, შევზღუდოთ „თხევადი შაქარი“ — გაზიანი სასმელები, ხილის წვენები, ტკბილი ჩაი და ყავა, ლუდი. მათგან შაქარი აითვისება ყველაზე სწრაფად.

დავლით თუ არ დავლით?
ალკოჰოლის უსაფრთხო დოზა დიდი არაა, მამაკაცებისთვის ესაა 40 მილილიტრი წმინდა ეთილის სპირტი დღეში. ქალებისთვის — 20 მილილიტრი. მაგარ სასმელებზე თუ გადავიყვანოთ, მოცულობა გაამრავლეთ დაახლოებით 2,5-ზე, სუსტი ღვინისთვის — 8-10-ზე, ლუდისთვის — 20-ზე. დაზიანების ზომიერ, მაგრამ რეგულარულ გამოქარბებას თან ახლავს ღვიძლის ცხიმოვანი დაავადება.
მეტად საზიანოა ეპიზოდური უხვი სმა, მაგალითად, უქმე დღეებში. ეს ზრდის

რა არის სასარგებლო ღვიძლისთვის პროდუქტები ფოსფორილით: არარაფინირებული მცენარეული ზეთი, კვერცხი (გული), პარკოსნები, მარცვლეული პროდუქტები.
ნატურალური ყაზა (იმ შემთხვევაში, თუ არ იწვევს ძმარვას, გულის აჩქარებას და წნევის აწევას).
ცილოვანი პროდუქტები: მჭლე ხორცი, ფრინველი, ნებისმიერი თევზი.
პროდუქტები ანტიოქსიდანტებით: ახალი ბოსტნეული და ხილი.

© ცინცხალი ანეკდოტები

— **მეზობარშია, რომ თქვენ მოგწამლეს!**
— **ღმერთო ჩემო ექიმო როგორ? რით?**
— **ნუ ინერვიულებთ, გეთაყვა! გაკვეთისას ყველაფერს გავარკვევთ!**
* * *
— **პიტაპ, დიდი ხნით მიდიხართ სათევზაოდ?**
— **არა, სანამდეც ორი წუთი არაფი გვეყოფა...**
* * *
— **სამშობიარო სახლიდან გირეკავთ. გადავცით, თუ შეიძლება, ივანოვს, რომ ერთბაშად სამი გოგო შეეძინა.**
— **ო, ოღონდ ახლავე ვერ ვეტყვი. სამართებლით იპარსავს პირს.**
* * *
ძმარი სილაშხის სალონთან დგას და თავის ცოლს ელოდება.



ისიც გამოდის და ქმარს ევეკლუცება: — **აბა, როგორ მოგწონვარ?**
ქმარმა ყურადღებით შეათვალიერა: — **გენცადა მაინც!**
* * *
სწორედ ჩვენთან გაჩნდა პირველად სოციალური ქსელები. საკმარისი იყო, მესერზე მიგვეწერა სიტყვა „სიყვითა“, რომ მაშინვე გაჩენილიყო სტატუსებიც და კომენტარებც.
* * *
— **პიი, ძვირფასო, ბრილიანტო მარჩვენ შენი ხელისგული: ყელაფერს გეტყვი, რაც გადაგხდა, რაც გელისი არაფერს დაგიმაღავ!**
— **...**
— **ოი, ჩემო კარგო, ვენდავ, რომ ძალიან მართხნელა კაცი ხარ!**
— **ხაზებით ხედავ?**
— **არა, გენაცვალე, კოჭრებით..**

ავტორთა საჭურავლი
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
გამომცემელი: შპს „თბილისი-საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი
ალექო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
საბრტაქ მოშულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გაბუკა გაბუკიძე 514 33-33-24